ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ


№ 14 (294) ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-16 ᲬᲔᲚᲘ

1972 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥ-ᲛᲘᲐᲜᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲒᲐ ᲨᲐᲠᲐᲕᲐᲜᲓᲔᲓᲡ ᲐᲤᲔᲜᲡ ᲔᲠ-ᲗᲐ ᲫᲛᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑ-ᲠᲝᲒᲘᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲞᲠᲝᲡ-ᲞᲔᲥᲢᲡ — ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲓᲐᲠᲡ.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲜᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ





ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲖᲔᲛᲝᲓᲐᲜ „ᲛᲔᲜᲐ-ᲫᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ“ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ ᲛᲘᲚᲝᲡᲚᲐᲕ ᲡᲣᲨᲙᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲨᲝᲗᲐ ᲒᲣᲨᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲛᲡ ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲡ ᲩᲔᲮᲘ ᲛᲔᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ; ᲗᲐᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲔᲮᲔᲛᲛᲐ ᲣᲫᲕᲜᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ; ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ ᲩᲔᲮᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲕᲘ.

ᲝᲗᲐᲠ ᲗᲣᲠᲫᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲗᲝ სავაჭრო გაერთიანება „სკლოექსპორტი“ („მინაექსპორტი“) საქართველოს დედაქალაქ თბილისში პირველად აწყობს ჩეხური მინის გამოფენას.

საბჭოთა კავშირი ის ქვეყანაა, რომელიც უველაზე დიდი რაოდენობით გვიკვეთავს ჩეხურ მინას. ამიტომ უკანასკნელ ხანებში თქვენს ქვეყანაში რამდენიმე გამოფენა მოვაწყეთ, სადაც ჩვენი წარმოების ნიმუშები ვუჩვენეთ.

საგარეო სავაჭრო გაერთიანება „სკლოექსპორტში“ შედის ბროლი, მხატვრული მინა, დაპრესილი მინა, ჭურჭელი, ჭაღები, ლაბორატორიული და ტექნიკური მინა. ჩეხური მინა გაქვთ მსოფლიოს 119 ქვეყანაში, უველაზე მეტი რაოდენობით საბჭოთა კავშირში, კანადაში, ინგლისში, იტალიაში, იაპონიაში, შვეიცარიასა და სხვაგან. საბჭოთა კავშირში ამ საქონლის ექსპორტის მოცულობა 1963 წელთან შედარებით დღეისათვის თითქმის 6-ჯერ გაიზარდა. 1975 წლისათვის საბჭოთა საგარეო ვაჭრობის საწარმოებს ვთავაზობთ „რაზნოექსპორტის“, „მედექსპორტის“, „ტექნექსპორტის“ საქონლის მიწოდების გადიდებას ხუთჯერ, რაც ნიშნავს, რომ 1963 წელთან შედარებით წლიური საქონელბრუნვა 50 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს.

ჩეხური მინა და ბროლი მთელ მსოფლიოშია ცნობილი არა მხოლოდ თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით, არამედ ძალზე ნათელი დღევანდელობითაც. ჩეხურმა მინამ საერთაშორისო ბაზრობაზე პირველად მე-17 საუკუნეში გაიკვლია გზა, როცა სახელგანთქმულმა გრავიორმა კასპარ ლემანმა მიაკვლია მინის დამუშავების განსაკუთრებულ ხერხებს. მინით ვაჭრობის ერთ-ერთი ფუძემდებელია ჩეხი გრავიორი და მინაზე ფერწერი ირჟი კრეიბიხი, რომელმაც 1682-1721 წლებში ოცდაათზე მეტი მოგზაურობა მოაწყო და ჩეხურ მინას გზა გაუხსნა მსოფლიო ბაზარზე. ევროპის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებში იქმნებოდა ჩეხური მინის მუდმივი საწყობები, რომლებიც მოგვიანებით ზღვისპირა ცენტრებშიც აღმოცენდა. თავის მონოპოლიურ ძლიერებას მსოფლიო ბაზარზე ჩეხურმა მინამ მე-18 საუკუნეში მიაღწია.

ცხადია, შეუძლებელი იყო ჩეხურ მინას სამუდამოდ შეენარჩუნებინა თავისი ეს მოწინავე მდგომარეობა, მის შემოქმედთ რომ არ ეზრუნათ გამომხატულების ახალ ფორმებზე, მხატვრული სახე არ მიეცათ თავიანთი შემოქმედების ნიმუშებისათვის. სწორედ ამ მაღალმხატვრული ღირსებების გამო იმსახურებს ჩეხური მინა უმაღლეს შეფასებას მსოფლიოში. ამის მაჩვენებელია არა მხოლოდ მედლები და დიპლომები, რომლითაც დაჯილდოებულია ჩეხური მინა საერთაშორისო გამოფენებზე ბრიუსელში, მილანში, ნიუ-იორკში, სან-პაულოში, არამედ აღტაცებული გამოხმაურებანი მილიონობით ადამიანებისა, რომლებიც ეცნობიან ჩვენს გამოფენებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ევროპაში უველაზე „უხუცესი“ მინის ქარხანა ბრიპსკაშია. იგი 1414 წელს დაარსდა და დღემდე მუშაობს. მსოფლიო მნიშვნელობის მქონე მუზეუმების საქვეყნოდ ცნობილი ექსპონატები სწორედ ჩეხ ოსტატებს — კაშპარ ლემანს, დომინიკ ბიმანს, ბედრიხ ეგერმანს ეკუთვნით. მსოფლიოში გაითქვეს სახელი ჩეხურმა ჭაღებმა, რომლებიც ქალაქ კამენიცკ-შენოვში მზადდება უკვე 250 წელიწადია.

ამჟამად მინას ამზადებენ ჩეხეთშიც და სლოვაკიაშიც, დღეისათვის ჩვენშია-ზე მეტი მინის ქარხანაა, სადაც 70000-მდე ოსტატი მუშაობს.

გამოფენა თბილისში ნათლად მეტყველებს ჩვენში მინის წარმოების მდიდარ ასორტიმენტზე და აკმაყოფილებს როგორც რიგით დამთვალიერებელს, ისე სპეციალისტს. აქ წარმოდგენილია უველა სახის 1700-ზე მეტი ექსპონატი, მდიდრულად არის ნაჩვენები ბროლი, დაპრესილი მინა, ჩაბერილი და ჩამოსხმული ფორმები, უველაზე ლამაზი მინა „მოზერი“, რომელსაც საკურორტო ქალაქ კარლოვი-ვარში ამზადებენ. ექსპოზიციის უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ ჭაღები და სანათები. დამთვალიერებლებს აინტერესებთ ცეცხლგამძლე მინა, რომელიც ქალაქ საზოვის ქარხანა კავალიერში მზადდება. გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი სლოვაკურ ქარხნებში დამზადებულ ტექნიკურ და ლაბორატორიულ მინას. გამოფენა ნათლად უჩვენებს მსოფლიოში ჩეხოსლოვაკიის მინის წამყვან როლს ამ სახის ნაწარმთა შორის.

თბილისური გამოფენის — „ჩეხური მინის“ ავტორი გახლავთ ცნობილი ბრნოს ბაზრობების არქიტექტორი, ინჟინერი ზდენექ ლანგი. ახლო მომავალში გადაწყვეტილია მსგავსი გამოფენები ვუჩვენოთ ლენინგრადის, ალმა-ათისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მშრომელებს.

თბილისში გამოფენასთან დაკავშირებით, ჩეხმა ოსტატებმა საქართველოს დედაქალაქისათვის საჩუქრად გამოგზავნეს გაბრიალებული და გრავირებული ვაზა. იგი დამშვენებულია ელიფსის ფორმის ემბლემით, რომელზეც ამოკვეთილია „ქართველის დედა“; საჩუქარი გადაეცა დედაქალაქის წარმომადგენლებს.

ჩვენი გამოფენის მთავარი მიზანი მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა მინის ნაწარმის ჩვენება როდი გახლდათ, ჩვენ გულით გვწადია განვამტკიცოთ ძმობა და მეგობრობა ხალხთა შორის, საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა შორის. გვინდოდა ჩვენს კოლეგებს საქართველოს სავაჭრო საზოგადოებებიდან ენახათ, რა სახის მინის დამზადება შეგვიძლია ჩეხოსლოვაკიაში, რა მიმართულებით მიმდინარეობს ჩვენი მდიდარი მინის ზოგიერთი დარგის განვითარება. გამოფენას ესტუმრა ბევრი ოფიციალური პირი, ქალაქის უამრავი მკვიდრი. გამოფენა დაათვალიერეს ამხანაგებმა ვასილ მუავანაძემ, გივი ჯავახიშვილმა და სხვებმა.

გამოფენა მოინახულეს სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, სპეციალისტებმა. სპეციალისტებს დავუთმეთ სამი განსაკუთრებული დღე.

ზოგჯერ ძალზე გვიჭირდა გამოფენაზე მუშაობა დილიდან გვიან ღამემდე — მოგეხსენებათ, უველა ჭაღი ანთებული იყო, მათ სიცხეს თბილისური პაპანაქებაც ზედვე ერთვოდა, მაგრამ უველაფერი უკან დარჩა, დაგვრჩა კეთილი, თბილი მოგონებანი სტუმართმოყვარე ქართველ მეგობრებზე, მშვენიერ ქალაქზე, ამ ულამაზეს მთებზე და საქართველოს თვალწარმტაც ბუნებაზე.

დიდი იმედი მაქვს, რომ ის ძვირფასი მეგობრები და ამხანაგები, რომლებიც გამოფენის სტუმრები იყვნენ, არ დაივიწყებენ ჩეხოსლოვაკიის მინასთან ამ პირველ შეხვედრას თბილისში.

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲙᲝᲕᲐᲠᲨᲘ,
გამოფენის დირექტორი.

„დაისი“ უცხოეთში

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს კულტურის სამინისტროში საზეიმო ვითარებაში გაფორმდა ორი თეატრის ხელშეკრულება. მას ხელს აწერენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრუკენის სახელმწიფო თეატრის გენერალური დირექტორი ჰერმან ვედეკინდი და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დიმიტრი მჭედლიძე.

ჰერმან ვედეკინდი, პროფესიით მსახიობი, რომელიც ბოლო ხანებში დამდგმელ რეჟისორად მუშაობს, ორიოდე წლის წინათ სტუმრად იყო ჩვენს დედაქალაქში. სწორედ მაშინ მოისმინა სტუმარმა ოპერა „დაისის“ ჩანაწერები, მოიხიბლა და გადაწყვიტა ეს დიდებული ქართული ქმნილება თავის თეატრში დაედგა. სწორედ ამ გადაწყვეტილების დადასტურება იყო ჩვენს კულტურის სამინისტროში ხელშეკრულების გაფორმება.

ამ დოკუმენტის თანახმად საარბრუკენის თეატრი გაისად, იანვრის დამლევს დადგამს ზაქარია ფალიაშვილის „დაისს“, ხოლო იმავე წლის მარტში თბილისში აყღერდება ვაგნერის „ლოენგრინი“. „დაისის“ დასადგმელად გერმანიაში გაემგზავრებიან რეჟისორი გიზო უორდანია და ბალეტმეისტერი ვახტანგ გუნაშვილი, რომელიც პრემიერაზეც იცეკვებს. გერმანელ ხელოვანთ მხატვარი და დირიჟორიც ქართველი ეყოლებათ, თბილისიდან მიწვეული. ვაგნერის ოპერას ჩვენს თეატრში განახორციელებენ ჰერმან ვედეკინდი და დირიჟორი ზიგფრიდ კიოლერი.

„დაისის“ პრემიერაში მონაწილეობას მიიღებს, გარდა ვახტანგ გუნაშვილისა, სამი ქართველი მომღერალი. ისინი შეასრულებენ მაროს, კიაზოსა და მალხაზის პარტიებს. ვაგნერის ოპერაში პირველ დღეს გამოვა გერმანელი სტუმარი.

„დაისის“ ლიბრეტო გერმანულ ენაზე უშუალოდ დედნიდან თარგმნა ცნობილმა პოლიგლოტმა ვოლფგანგ ოფერმანსმა, რომელიც ოც ენას ფლობს და საუცხოოდ იცის ქართულიც.

ამრიგად, პოლონეთის ქალაქ ლოძის შემდეგ, სადაც ეხლახანს განხორციელდა ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მეორე სახელმწიფოა, სადაც ქართული საოპერო ხელოვნების დიდებული ნაწარმოები აყღერდება.

მესამედ...

ცნობილმა საესტრადო მომღერალმა ვახტანგ კიკაბიძემ უკვე ორჯერ ითამაშა წამყვანი როლები მხატვრულ ფილმებში „არ დაიდარდო“ (რისთვისაც საერთაშორისო პრემიაც მიიღო) და „მე, გამომძიებელი“. პირველი ნაწარმოები რეჟისორმა გიორგი დანელიამ დადგა. როგორც ჩანს, შემოქმედებითი თანამეგობრობა საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა, რადგან გიორგი დანელიამ ვახტანგ კიკაბიძე კვლავ მიიწვია თავისი ახალი ნაწარმოებისათვის.

გიორგი დანელია ამჟერად კინოსტუდია „მოსფილმში“ დიდი ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის გმირებს აცოცხლებს ეკრანზე. ფილმს, რომელსაც „სულ დაკარგული“ ჰქვია, მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ უდევს საფუძვლად. ბუბა — როგორც სიყვარულით უწოდებენ ჩვენში ვახტანგ კიკაბიძეს, — ამ ფილმში ჰერცოგის როლს შეასრულებს. სურათში მონაწილეობას აგრეთვე მსახიობი აბესალომ ლორია.

რიონის ტალღებზე

სამი წელიწადია, რაც საბჭოთა კავშირში დამკვიდრდა სანიჩბოსნო სლალომი. საბჭოთა კავშირის სამივე პირველობა საქართველოში ჩატარდა. მდინარე რიონი მეხუთე კატეგორიის სანიჩბოსნო მდინარედ ითვლება — სოფელ ტვიში (ცაგერის რაიონი), მუხლოს ხიდი (ამბროლაურის რაიონი) და ქუთაისში ჯაჭვის ხიდიდან თეთრ ხიდამდე. სწორედ ამ ადგილებში ჩატარდა პირველობები.

საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში ჩვენი რესპუბლიკის ხუთი ნიჩბოსანია შეყვანილი — გიორგი ნასყიდაშვილი, ვიტალი როსტიაშვილი, ომარ მარეხაშვილი, სულხან არეშოვი და იური ამეტოვი. — ხუთივე სპორტსმენი დაბადებით მცხეთელები არიან, რომელთაც მწვრთნელი ჰამლეტ მარეხაშვილი ავარჯიშებთ.

ზემოთჩამოთვლილი ნიჩბოსნები ყველა შეჯიბრებების პრიზიორები და ევროპისა და მსოფლიოს პირველობების მონაწილენი არიან.

ამას წინათ ქალაქ ქუთაისში, ჯაჭვის ხიდიდან თეთრ ხიდამდე, 670 მეტრის მანძილზე ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობა. ასპარეზობაში საუკეთესო დრო და ნაკლები საჯარიმო ქულა აჩვენა ქართველმა ნიჩბოსანმა ვიტალი როსტაშვილმა და გამარჯვებულთა კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე ავიდა.

ქალთა შორის პირველობა 18 წლის რუსთაველმა ანა დემიანენკომ მოიპოვა. კანოე ორიანებით რბოლაში შარშანდელმა პირველმა პრიზიორებმა მცხეთელმა სულხან არეშოვმა და რუსთაველმა იური იურჩენკომ მესამე ადგილი დაისაკუთრეს.

ტურნირში არ მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის № 1 ნიჩბოსანი გიორგი ნასყიდაშვილი, რომელიც ამჟამად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფება ოლიმპიური ტრასის გასასინჯად.

ლამარა ხეცურიანი,
შეჯიბრების მსაჯი, სპორტის ოსტატი.

ბერლინის საერთაშორისო

ბერლინში გაიმართა ნეირო-ფსიქიკური ფარმაკოთერაპიის საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიისა და შვეიცარიის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ საბჭოთა მეცნიერებიც, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები შოთა გამყრელიძე და შიგურად ზურაბიშვილი.

მსოფლიო გამოფენაზე

პარიზში გაიხსნა არქიტექტორ ქალთა პროექტების მსოფლიო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობენ ქართველი ხუროთმოძღვარი ქალებიც. ავტორიტეტულმა კომისიამ შეარჩია თბილისის ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქიტექტორების — ლამარა ჟამიერაშვილისა და თინათინ ფანიაშვილის პროექტები. ლამარა ჟამიერაშვილმა წარადგინა გაგრის ხუთასადგილიანი „გაგრიფშის“ სასტუმროს, 320-ადგილიანი ტურბაზისა და ბაკურიანის კულტურის სახლის პროექტები, თინათინ ფანიაშვილმა — ტურბაზის პროექტი თბილისის ვაკის პარკში.

პარიზის შემდეგ გამოფენას გადაიტანენ ბუქარესტში, სადაც გაიმართება არქიტექტორ ქალთა საერთაშორისო კონგრესი.



არ დაივიწყებს სამშობლო...

საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში — სვანეთში დაიბადა და გაიზარდა მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი მიხელ ხერგიანი, რომელსაც მრავალ სალ კლდეზე დაუდგამს ფეხი, ესოდენ ბრწყინვალე გამარჯვებით რომ მთავრდებოდა ყოველთვის...

1969 წლის 4 ივლისს იტალიის დოლომიტებში ერთ-ერთი მწვერვალის დაპყრობის დროს დაიღუპა საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხელ ხერგიანი. მისი მამაცობა და დამსახურება ჩვენთან, უთვალავ მამულიშვილებთან ერთად, არ დავიწყნია საქართველოს დამსახურებულ მხატვარს ვახტანგ ონიანს, რომელმაც ქვაზე აღბეჭდა მიშას ნათელი სახე.

8 ივლისს მესტიაში ხერგიანის საფლავზე გაიხსნა ის ძეგლი. ძეგლის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო.

ქართული პიესა აშხაგადში

დღეს უკვე მართლა ძნელია ჩამოთვალო უველა ქალაქი, სადაც ქართველ დრამატურგთა პიესები იდგმება. ნოდარ დუმბაძის, გიგა ნახუცრიშვილის, ოტია იოსელიანის, აკაკი გეწაძის, გიგლა ხუხაშვილისა და სხვა ავტორთა დრამატულ ნაწარმოებებს ხორცი ესხმება რუსულ, უკრაინულ, ბალტიისპირეთის, შუა აზიის, ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე.

თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადის მოლანეპესის სახელობის დრამის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ამზადებს ოტია იოსელიანის პიესას „სანამ ურემი გადაბრუნდება“. პრემიერა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნება.

სოფიის მუსიკალურ კვირეულზე

ბულგარეთში გაიმართა მესამე საერთაშორისო ფესტივალი „სოფიის მუსიკალური კვირეულები“, რომელშიც ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ. ფესტივალზე პლოვდივის ორკესტრმა საგუნდო კაპელასთან და სოლისტთან — საქართველოს დამსახურებულ არტისტ თამაზ ლაფერაშვილთან ერთად შეასრულა კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“ ავტორის დირიჟორობით. გაზეთი „ოტეჩესტვენი ფრონტი“ აღნიშნავდა, რომ „თავისი სიღრმით, პოეტურობითა და მკაფიო მუსიკალური ენით, რომელიც ღრმად არის დაკავშირებული ქართული მუსიკის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებთან, ამ ნაწარმოებმა ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა“.

დიდი წარმატება

ბუგაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა მსახიობების გასტროლები. კუბელმა მუსიკის მოყვარულებმა, რომლებითაც სავსე იყო დედაქალაქის თეატრი „ამადეო როლდანი“, მქუხარე ტაშით დააჯილდოეს ქართველი პიანისტი მარინე მდივანი, რომელმაც კუბის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის თანხლებით შეასრულა ჩაიკოვსკის ნაწარმოებები.

ჩვენი მეგობრის იუბილე

ცნობილი ავსტრიელი პოეტის ჰუგო ჰუპერტის შემოქმედებას კარგად იცნობს ჩვენი ხალხი. პოეტის ბევრი ლექსი ითარგმნა ქართულად, ეს შემოქმედი კი ჩვენთვის უფრო იმით არის ძვირფასი, რომ მან გერმანულად თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. თარგმანი, რომელიც პოეტს თავის ერთ-ერთ ფუნდამენტურ შრომად მიაჩნია, რამდენჯერმე გამოიცა.

ეხლახან ჰუგო ჰუპერტს დაბადების 70 წელი შეუსრულდა, ავსტრიის პროგრესულმა საზოგადოებამ პოეტს იუბილე გულთბილად აღნიშნა.

მარგარიტა გოტიეს ახალი სიცოცხლე

არის წიგნი, ახლობელივით ძვირფასი, საყვარელი, მთელ ცხოვრებაში რომ ვერ დაივიწყებ. მას უთუოდ ჭაბუკობისას წაიკითხავ, თავგადასავლებისა და სასიყვარულო ეპიზოდებით გატაცების წლებში, მერე ერთხელ კიდევ გადაავლებ თვალს და დარწმუნდები ამ წიგნის შთამაგონებელ ძალასა და პოპულარობის მიზეზში. ლიტერატურული მადლმოსილება დაჰყოლია ფრანგული შემოქმედების წარმტაც ქმნილებას „მარგარიტა გოტიეს“, სახელმოხვეჭილი ალექსანდრე დიუმას შვილის, უმცროსი დიუმას ნაკალმევს.

იშვიათად ნახავთ ოჯახური წიგნის თაროს, სადაც ამ პატარა წიგნს საპატიო ადგილი არ ჰქონდეს მიჩნეული. მაგრამ ყველგან გაცრეცილ, სიყვითლემორეულ ფურცლებიანს თუ წააწყდები, რადგან ნიკო ბადრიძის ქართულად თარგმნილი და 1895 წელს გამოცემული, დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, ათასობით მკითხველის ხელში გავლილი, თანაც დღევანდელი ახალგაზრდისათვის ძნელად წასაკითხი. ამიტომაც ჰეშმარიტად კეთილი საქმე გააკეთა „მერანმა“ „მარგარიტა გოტიეს“ ახალი თარგმანის გამოცემით.

კამელიის მოყვარული ქალის ბედუკუღმართი ცხოვრების ისტორია საინტერესო და საამოდ სასმენელი გახადა მთარგმნელმა, ქართული ენის შესანიშნავმა მცოდნემ მიხეილ მამულაშვილმა. ნაწარმოებისა და მისი ავტორის ესოდენ დიდი პოპულარობა და მსოფლიო აღიარება რომ არა, წიგნის გარეკანზე მოხრდილი შავი შრიფტით დაბეჭდილი ალექსანდრე დიუმას სახელი რომ არა — შესაძლოა გვეფიქრა, რომანი ქართულ ენაზე დაუწერიაო ფრანგ მწერალს.

ქართული ენის ბუნების დაცვასთან ერთად თარგმანი შესრულებულია მაღალმხატვრულად, ოსტატის ხელით, გამართულია და სრულყოფილი ლიტერატურული თვალსაზრისით და პირველწყაროს ტოლფასია. სრულად არის დაცული მთელი ნაწარმოები, ავტორის პირველი სტრიქონიდან მოყოლებული, ამრან დიუვალისადმი მარგარიტას პირადი წერილებით დამთავრებული.

მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე თარგმნილ არმანისა და ბურჟუაზიული საზოგადოების მორალის მსხვერპლის, მსუბუქი ყოფაქცევის ქალის მარგარიტას ამაღლებული, უანგარო სიყვარულის ისტორიას, რომელშიც შეიქმნა შესანიშნავი დრამა, გენიალური ვერდის ოპერა „ტრავიატა“ და ამერიკული ფილმი „ქალი კამელიებით“, დღეს მხარს უმშვენებს ქართულ ენაზე აყღერებული წიგნი, რომელსაც უეჭველად მოიწონებს ყველა ასაკის მკითხველი. მკითხველი, რომელმაც მარგარიტა გოტიე შეიყვარა შესანიშნავი ქართველი მსახიობების ეფემია მესხის, ნუცა ჩხეიძისა და ვერიკო ანჯაფარიძის უბადლო ნიჭით განსახიერებული სცენური სახეებით.

კირა კვეიძე

რედაქციისაგან:

ძვირფასო მკითხველო, წაიკითხეთ მიხეილ მამულაშვილის თარგმანი, შეადარეთ ორიგინალს, განსჯეთ და თქვენი სიტყვაც გვითხარით.

ვაქვეყნებთ მიხეილ კაკიტელაშვილის —

წერილი რედაქციას



ორი ათეული საუკუნეა, რაც მადლიანი საქართველოს თბილი კალთა გვაფარია ქართველ ებრაელებს. მშობლიური მიწის ამ მარადიულ სითბოს მუდამჟამ, დღიდან-დღემდე, გვინაწილებენ ჩვენი ნიჭიერი, ალალი, დაუძრახველი, სისხლითა და ხორცით ინტერნაციონალისტი ძმები — ქართველები. ეს სითბო მთელი ძალით გამოსჭვივის გაზეთ „სამშობლოს“ სარედაქციო სტატიაშიც — „ბოროტსა სძლია კეთილმან...“ რომელიც ამასწინათ დაიბეჭდა. ვერ წარმომიდგენია, უსიყვარულოდ დაიწეროს სტრიქონები: „...საქართველოში სიმრავლის გამო ვერ დაითვლებიან სახელოვანი ებრაელები, გულმართალი და ამაგდარი მამულიშვილები, რომელთა ხვედრი ჩვენთვის არასოდეს ყოფილა და არც იქნება სასხვათაშორისო, ისევე როგორც ყველა ებრაელისა თუ ყველა თბილისელისა“.

და განა პირველი შემთხვევაა, რომ ესოდენ დიდი სიყვარულით იწერება ქართველი ებრაელების შესახებ? ვინ დაივიწყებს რაოდენ თბილად ეკიდებოდა სულმნათი აკაკი წერეთელი ებრაელ მოსახლეობას?! ვინ დაივიწყებს ებრაელებისადმი პატივისცემით გამსჭვალულ სერგეი მესხის ლიტერატურულ წერილებს?! ვინ დაივიწყებს ებრაელებისადმი მიძღვნილ ალექსანდრე აბაშელის განუმეორებელ სტრიქონებს?! ან კიდევ უდროოდ დაღუპული უნიჭიერესი პოეტის პაოლო იაშვილის შედევრს — „ებრაელების დასახლება კოლხიდაში“. მხოლოდ სულმოკლე ადამიანებმა, რომლებიც სიონისტთა ბოდვას აჰყვნენ, დაივიწყეს ეს განუზომელი სიკეთე, თავიანთი ჭეშმარიტი სამშობლო — საქართველო მიატოვეს, რუსთაველის ქვეყნის შვილობა იუკადრისეს და „აღთქმულ მიწაზე“ გადაბარგდნენ. მაგრამ... „აღთქმულ ქვეყანაში“ იმედგაცრუებულებმა, მოტყუებულებმა და გზასაცდენილებმა დღეს ისრაელიდან შველა ითხოვეს — საქართველოში დასაბრუნებლად ვიზები გამოგვიგზავნეთო!

ბრწყინვალე ქართველმა პოეტმა საქვეყნოდ ბრძანა: „სამშობლო — დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედ!“ ვაგლახ! ერთმა წყება ჯაცუნებმა „აღთქმულ მიწაზე“ გასცვალეს „სამშობლო — დედის ძუძუ“!

ჩვენ მეტისმეტად სულგრძელები ვართ, მაგრამ შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩადენილ მშობლიური მიწის ღალატს არავის ვპატიებთ. ქართველ ებრაელს ერთი ჭეშმარიტი სამშობლო გააჩნია მხოლოდ — ქართველი ებრაელების მშობელი დედა საქართველოა და არა „აღთქმული მიწა“! ეს ჭეშმარიტება უველამ უნდა იცოდეს!

უველამ კარგად უნდა შევიგნოთ, რომ მარტო განცდით დაწერილი წერილები ვერ უშველიან განწირულთა ტრაგედიას. თითოეული ქართველი ებრაელი ინტელიგენტის უპირველესი და გადაუდებელი მოვალეობაა, ხმა აღიმაღლოს, სწორ გზაზე დააყენოს ის თანამოძმენი, რომლებიც —„აღთქმული მიწისაკენ“ უგუნურად იწევენ და მღვრიე მორევში ერეკებიან საკუთარი ოჯახის წევრებს.

ძვირფასო რედაქციავ! ამ წერილთან ერთად გიგზავნით ლექსების ციკლს საქართველოზე მე ამ დალოცვილი მიწა-წყლის ერთი რიგითი პოეტი ვარ. სიცოცხლესავით მიყვარს საქართველო, მისი ჭედუხრელი, ამაყი და სულით ძლიერი ხალხი და ვერ წარმომიდგენია მათ გარეშე არსებობა.

დ ა ლ ე ქ ს ე გ ს

ფ ო ლ ა დ ი

გული ფოლადის, მკერდი ფოლადის,
ქართველთა მოდგმას დაგვყვა ოდითგან...
ფოლადის აბჯრით მტერს მივქოლავდით
ხან მარაბდიდან, ხან შამქორიდან.
მტკიცე ფოლადის ჰქონდა მარჯვენა
ჩვენს სიმამაცეს და ვაჟკაცობას,
დიდი მამულის გადასარჩენად
სისხლში ნაწრთობმა ხმალმა აჯობა.
ვინ არ ინდომა ჩვენი გატეხა?
თვით გადაუტყდათ მტრობის ისარი.
ვცოცხლობთ, ფოლადი გვქვია სახელად,
ვკვდებით, მაინც ვართ ფოლადისანი.

დ ე დ ა ო მ ი წ ა ვ!

შეგხარი, როგორც პატარა ბავშვი,
დედაო მიწავ!.. ტკბილო ქვეყანავ...
მზისგან დავარცხნილ გიშრისფერ თმაში
თეთრი ზამთარი შემომეპარა.
და სიყვარულით დაღლილი გედი
კვლავ ვიწვი, როგორც აბო იწვოდა,
ვით სვეტიცხოვლის ურყევი სვეტი
ვდგევარ, ვუმღერი მარადისობას;

მარადისობას ვუმღერი შენსას!

ქ ა ე თ ა ს ვ ლ ი ს ს ე ა შ რ ო მ ი

დარიც მინახავს, ავდარიც მინახავს
ბედის ტრიალში, ცხოვრების თამაშში, —
მშობელი მიწის ღირსებას ვინახავ
ისე, ვით მარგალიტს გულის ნიჟარაში.
და ამ ღირსებით და ამ საგანძურით
ვბობოქრობ, ვღელავ, როგორც ზღვა პონტოსი...
მეამაყება ჟამთასვლის ხმაურში
ქედუხრელობა დედა-სამშობლოსი.

ე რ თ ი ხ ა რ!

შენ წამიკიდე სულში ალმური,
ერთი ხარ! ერთი, როგორც დედამზე!
სამშობლოს სითბო და სიყვარული
არ ითარგმნება არცერთ ენაზე.
შენს იქით სამზერს არსად დავეძებ,
მთხოვე სიცოცხლე, — სულსაც გაგატან,
თუ დავეცემი, შენთვის დავეცე
და გავიწირო, როგორც პაატა.
უშენოდ გულმა შეწყვიტოს ფეთქვა,
ნათელ თვალებში ჩამიდგეს ღამე.
სამშობლო ყველას უმზეოს ღმერთმა,
თუ ჩემს სამშობლოს არ შებღალავენ.
შენ წამიკიდე სულში ალმური,
ერთი ხარ! ერთი, როგორც დედამზე!
სამშობლოს სითბო და სიყვარული
არ ითარგმნება არცერთ ენაზე.

ქ ა რ თ უ ლ მ ი წ ა ზ ე

ამ მადლიან და დალოცვილ მიწაზე
ერთი წუთიც არ ვყოფილვარ მერყევი.
ცოცხალი ვარ, შენი ტრფობით ვიწვები,
მოვკვდები და, ფერფლად გადაგეყრები.
ვინ დამძრახავს სულით ცოტნე დადიანს,
არწივების საბუდარის მეხოტბეს,
მე მომსდური ვერ მიხილავს დარდიანს,
თუნდაც ტანჯვა და წამება მელოდეს.
ამ მადლიან და დალოცვილ მიწაზე
ერთი წუთიც არ ვყოფილვარ მერყევი,
ცოცხალი ვარ, შენი ტრფობით ვიწვები,
მოვკვდები და, ფერფლად გადაგეყრები.

შენიშვნა რედაქციისაგან: ამ მამულიშვილურ სიტყვებზე კარგა ხანია მუსიკა დაწერა ჩვენმა სასიქადულო კომპოზიტორმა გიორგი ცაბაძემ, რაც ხელიხელ-საგომანო სიმღერად იქცა ჩვენში და რასაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.



საბჭოთა ხალხი, პარტია, პატივისცემით

ვაჭრობა მშრომელთა სამსახურში



ვაჭრობის მუშაკის დღესთან დაკავშირებით საქართველოს ვაჭრობის მინისტრს **ვახტანგ თოხაძეს** რამდენიმე შეკითხვით მიმართა გაზეთ „სამშობლოს“ კორესპონდენტმა **ჯემალ ძურხულმა.**

● როგორი გზა განვლო ვაჭრობამ საბჭოთა საქართველოში?

ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საბჭოთა ვაჭრობამ, ისევე, როგორც მთელმა სახალხო მეურნეობამ, საქართველოში დიდი ცვლილებები განიცადა და სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ დარგად გადაიქცა, რასაც უპირველესად საფუძვლად დაედო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობისა და ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდა, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში ყოველგვარი სიახლისა და პროგრესულის დანერგვა და საერთოდ ვაჭრობის დონის ამაღლება.

დიდი გარდაქმნები უშუალოდ არის განპირობებული საბჭოთა საქართველოს ეკონომიური პოტენციალის, რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებით.

ჩვენი სავაჭრო პროგრესის სამაგალითოდ საკმარისია ითქვას, რომ 1940 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა, საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლით, 1928 წელთან შედარებით 21-ჯერ, ხოლო 1971 წელს 1940 წელთან შედარებით 7,5-ჯერ გაიზარდა და 2,5 მილიარდი მანეთი შეადგინა.

საქონელბრუნვა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის ფორმის სახით. წარმოადგენენ რა ერთიან მთლიანს, როგორც საბჭოთა ვაჭრობის ფორმები, მათ შორის არის სხვაობაც. მათ მთლიანობას განაპირობებს გაფართოებული კვლავწარმოების სოციალისტური პროცესის ერთიანობა, საზოგადოებრივი წარმოებისა და ვაჭრობის ერთიანი მიზანი — უზრუნველვყოთ ადამიანის მზარდი მოთხოვნილება. ხოლო ვაჭრობის ფორმების სხვაობა და თავისებურებანი დაკავშირებულია საზოგადოებრივი საკუთრების თავისებურებებთან, საქმიანობის სფეროსთან, ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური კავშირის ხასიათთან. ამასთან საბჭოთა ვაჭრობის წამყვანსა და განმსაზღვრელს სახელმწიფო ვაჭრობა წარმოადგენს, რომელიც ემსახურება ქალაქებს, ინდუსტრიულ ცენტრებს და კურორტებს.

რაც შეეხება სამომხმარებლო კოოპერაციას (ცეკავშირს), მისი ძირითადი დანიშნულებაა სოფლის მოსახლეობის სავაჭრო ნომსახურება; ის აერთიანებს ერთ მილიონ მეპაიეს, წარმოადგენს მსოფლიოში მომხმარებელთა საზოგადოების ერთ-ერთ უძველეს ორგანიზაციას და საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის წევრია.

როგორც ცნობილია, საქართველო მეფის რუსეთის ყოფილი აგრარული დანამატიდან განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაიქცა, ამიტომაც ძირეულად შეიცვალა მისი ეკონომიური კავშირი როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებთან. რევოლუციამდე კი ეს ეკონომიური ურთიერთობა მკვეთრად გამოხატულ კოლონიურ ხასიათს ატარებდა — ბარგანეცის გარდა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გაჰქონდათ, ხოლო სამრეწველო საქონელი, ადგილზე მრეწველობის სუსტი განვითარების გამო, თითქმის მთლიანად შემოჰქონდათ.

ამჟამად რესპუბლიკას გააქვს სხვადასხვაგვარი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ესენია: შავი და ფერადი ლითონი, მარგანეცი, ფეროშენადნობები, ლითონსაჭრელი ჩარხები, ტექნოლოგიური მოწყობილობა კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის, ზუსტი ხელსაწყოები, სატვირთო ავტომობილები, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მრავალი სახეობის პროდუქცია.

საქართველოში წარმოებული პროდუქცია, გარდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა, საექსპორტოდ იგზავნება მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში.



ლენინის მოედანზე, სადაც წინათ სათავადაზნაურო კლუბი იყო, შენდება ახალი უნივერმაღი.

ამასთან ერთად სახალხო მეურნეობის ფართო სპეციალიზაციის გამო საქართველოს შემოაქვს: მეცხოველეობის პროდუქტები, მარცვლეული, ბურღული, მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია ასორტიმენტის შესავსებად, ბევრი სახის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სამკვებო საქონლის საჭიროების საქონელი.

რესპუბლიკიდან გაზიდული და შემოზიდული სახალხო ნოხმარების საქონლის საერთო მოცულობა თითქმის თანაბარია.

● როდის დამთავრდა საქართველოში ვაჭრობის სფეროს განსაზოგადოება?

1932 წლის დამლევისათვის საქართველოში ისევე, როგორც მთელ ამიერკავკასიაში, მთლიანად დასრულდა საქონელბრუნვის განსაზოგადოების პროცესი. ვაჭრობის მთლიანი განსაზოგადოება იყო სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი. ის ემყარებოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პრობლემის წარმატებით გადაჭრას, კოლექტივიზაციისა და მექანიზაციის საფუძველზე წვრილი მიწათმოქმედების ლიკვიდაციას და მის გადაქცევას მსხვილ სასოფლო მეურნეობად.

● რას გვეტყოდით ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

როგორც მოგეხსენებათ, ვაჭრობის განვითარება და სრულყოფა ბევრად არის დამოკიდებული მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობაზე. ჩვენ გვსურს ვისმინოთ მაღაზიების, რესტორნების, სასადილოების ქსელს, საერთო სასაქონლო და სპეციალიზებულ საწყობებს, განმანაწილებელ მაცივრებს, აგრეთვე სავაჭრო-ტექნოლოგიურ მოწყობილობასა და ინვენტარს.

ამ მხრივ რესპუბლიკაში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა, რის შედეგად 1971 წლის დამლევისათვის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო და საზოგადოებრივი კვების ქსელი 22 ათას საწარეოს ითვლიდა, ნაცვლად 1928 წლის 3.023 ერთეულისა. ამასთან ქსელის ზრდა ძირითადად მიმდინარეობდა მსხვილი ობიექტების მშენებლობის ხარჯზე. თითქმის მთლიანად მოისპო წვრილი სავაჭრო საწარმოები, რომლებიც განლაგებული იყვნენ ძველსა და თანამედროვე მოთხოვნებისათვის შეუფერებელ სათავსებში, დუქნებში. ამ საქმეს ხელი შეუწყო რესპუბლიკაში ფართოდ განხორციელებულმა ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და სხვა დასახლებული პუნქტების რეკონსტრუქციამ. გაჭრა დუქანი, როგორც სოციალური და ფიზიკური მცნება.

მარტო განვლილ მერვე ხუთწლედში (1966-1970 წწ.) ჭართული ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებაზე ქალაქად, სოფლად და კურორტებზე 120 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

არსებითად შეიცვალა და გალამაზდა მაღაზიების, რესტორნების და სასადილოების ინტერიერები, გარეგნული ხედი და სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობა; ისინი ყოველმხრივ აკმაყოფილებენ ვაჭრობისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს.

ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში აშენდა უნივერმაღები, რამაღები, სავაჭრო ცენტრები. თბილისში, სხვა ობიექტების გარდა, შენდება კიდევ ერთი დიდი უნივერმაღი, ხოლო ქალაქის გარეუბანში მოეწყო საბითუმო სავაჭრო ბაზების მსხვილი სასაწყობო მეურნეობა. მარტო ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში 1972 წლის დასაწყისისათვის იყო 37 ათასი ტონის ტევადობის 14 დიდი განაწილებელი მაცივარი, იმის გარდა, რაც საცალო სავაჭრო ორგანიზაციებს გააჩნიათ.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი აღჭურვილია თანამედროვე სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობითა და ინვენტარით.

● გთხოვთ დაგვიხასიათოთ საზოგადოებრივი კვება და მისი სოციალური მნიშვნელობა.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოში განსაკუთრებული მზრუნველობის საგანია მომსახურების სფეროს ის უბანი, რომელსაც საზოგადოებრივი კვება წარმოადგენს.

ძველი თაობის ადამიანებს ახსოვთ, რომ წინათ საქართველოში თითქმის არ იყო სახალხო კვების საწარმოები. რამდენიმე რესტორანი და „დუქანი“, რომლებიც ატარებდნენ მყვირალა სახელებს: „ბო-ბონდი“, „ელდო-რადო“, „მეფისტო“, „ფანტაზია“ და სხვა, ფაქტიურად მხოლოდ მოქეიფეებს უმასპინძლდებოდნენ და ხელმისაწვდომნი არ იყვნენ მშრომელთა ფართო მასებისათვის.

სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება ეხლა მასობრივი კვების დარგში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძველი ქართული ხუროთმოძღვრების აღორძინების საფუძველზე ბევრი ლამაზი და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი რესტორანი აშენდა, ბათ შორის მარტო თბილისში ვეებერთელა რესტორანი „არაგვი“, „კრწანისი“, „საქართველო“, „დარიალი“, „ივერია“ და მრავალი სხვა, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებს ემსახურებიან.

ამასთანავე მასობრივი კვება სულ უფრო მეტად ვითარდება და სრულყოფილი ხდება ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კურორტებზე, საბჭოთა მეურნეობებში, უშუალოდ ჩაის პლანტაციებზე, მაღაროებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ჩამოთვლილი ობიექტებიდან ამჟამად ძნელად თუ მოიძებნება ისეთი, სადაც არ არის სასადილო ან ბუფეტი.

საზოგადოებრივი კვების დიდი სოციალური მნიშვნელობის გამო ის განსაკუთრებული ხელშეწყობით სარგებლობს ჩვენთან ყოველგვარი მომარაგებით, ბათ შორის უახლესი სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობით უზრუნველყოფის მხრივ. საზოგადოებრივი კვების განვითარების აღებული კურსი ითვალისწინებს მიმდინარე ხუთწლედში (1971-1975 წლები) მისი საქონელბრუნვის 1,5-ჯერ გაზრდას.

● როგორ არის ორგანიზებული ვაჭრობა კურორტებზე?

საქართველო განთქმულია თავისი კურორტებით. წყალტუბო, საირმე, შოვი, რიწა, ბიჭვინთა, ბახმარო და სხვა მრავალი კურორტებად გაშენდა. დიახ, ბახმარო იყო „ადგილი თვალწარმტაცი და დიდად საამო“, მაგრამ კურორტად დღესაც მშვენდება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კურორტებს: გაგრას, ციხისძირს, ბორჯომს, ბაკურიანსა და მრავალს ველარ იცნობს ადამიანი, ვისაც ისინი ოცი წელია, თუ აღარას ვიტყვით ორმოცდაათზე, აღარ უნახავს.

ამ კურორტების მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ წლეულს საბჭოთა კავშირის მრავალი კუთხიდან, აგრეთვე საზღვარგარეთიდან, მათ ესტუმრება 1,5 მილიონზე მეტი დამსვენებელი და ტურისტი.

საქართველოს ვაჭრობის მუშაკთა ამოცანა ის არის, რომ, ერთი მხრივ, უზრუნველვყოთ სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების პროდუქტებით ნორმალური მომარაგება, მეორე ხრივ, სავაჭრო მომსახურება გავუწიოთ უსაგზუროდ ჩამოსულ შინაურ და უცხოელ ტურისტებს, რისთვისაც შექმნილია სპეციალური სისტემა, საკურორტო-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებს პროდუქტებით და სავაჭრო ქსელს საჭირო საქონლით მომარაგებას რომ უზრუნველყოფს.

● რა სიახლეა ვაჭრობაში?

სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ საქონელბრუნვის ზრდის კვალობაზე ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც იმავე პროპორციით უნდა ვითარდებოდეს. არა, საქონელბრუნვის ზრდა წინ უნდა უსწრებდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას იმ ვარაუდით, რომ ეს სხვაობა მოდიოდეს ვაჭრობაში მომსახურების პროგრესული მეთოდების დანერგვის ხარჯზე. უფრო მეტიც, ამ მეთოდების დანიშნულება მარტო ეს როდია. მათ საფუძვლად ის პრინციპი უდევთ, რომ დაზოგონ მომხმარებლის დრო და უფრო მოსახერხებელი იყოს მისთვის საქონლის შეძენა, ხოლო ამით გაიზარდოს სავაჭრო ობიექტის გამტარუნარიანობა და, მაშასადამე, საქონელბრუნვაც.

ვაჭრობის პროგრესული მეთოდებიდან, როგორც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, უნდა დავასახელოთ თვითმომსახურება, შენდეგ საქონლის გაყიდვა თავისუფალი გამოლაგებით, ნომუშების მიხედვით, წინასწარი შეკვეთებით მომხმარებლისთვის სახლში მიტანით და სხვა.

● რას გვეტყვით ვაჭრობის დარგის კადრების შესახებ?

ამჟამად ვაჭრობის დარგს რესპუბლიკაში 110 ათასზე მეტი მუშაკი ემსახურება. წლითიწლობით უმჯობესდება მათი პროფესიული დონე და ლაზათი. მუშაკთა საერთო რაოდენობიდან ნახევარზე მეტი ქალია, ახალგაზრდობა — 23 პროცენტი; უმაღლესი, საშუალო სპეციალური და საშუალო განათლება აქვთ თითქმის სამ მეოთხედს, ერთი მეოთხედი კი ძველი პრაქტიკოსები არიან.

კადრების მომზადების საქმე სახალხო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ვაჭრობის მომავალი მუშაკები სწავლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე, თბილისსა და ბათუმში არსებულ საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმებში, თბილისისა და სოხუმის პროფესიულ სავაჭრო-კულინარულ სასწავლებლებში, სპეციალურ კურსებზე, წელიწადში კი ეს სასწავლო დაწესებულებები უშვებენ 18 ათასზე მეტ სპეციალისტს.

ვაჭრობის ახალი ამოცანები სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს ვაჭრობის მუშაკებს, რაც თავისთავად გვიკარნახებს განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ კადრების კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საქმეს.

● რა პერსპექტივები ისახება ვაჭრობის წინაშე მეცხრე ხუთწლედში?

იმის გათვალისწინებით, რომ მეცხრე ხუთწლედში მთავარ ეკონომიურ ამოცანად დადგენილია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება, მეტად სერიოზული ამოცანები ისახება ვაჭრობის წინაშე. მოსახლეობის ფულადი შემოსავლის გადიდებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოების შესაბამისად საქონელბრუნვა რესპუბლიკაში 1,5-ჯერ და უფრო მეტად უნდა გაიზარდოს. აქედან ჩვენი ამოცანებიც ნათელია. იმედი გვაქვს, რომ ვაჭრობის მუშაკები გაამართლებენ ხალხისა და მთავრობის ნდობას, პარტიის პატივისცემას.

● უკანასკნელი შეკითხვა — რა არის თქვენი საყვარელი საქმიანობა სამუშაოსგან თავისუფალ დროს?

შვილიშვილებთან ყოფნა, სასიქადულო მამულიშვილებად მათ აღზრდაში წვლილის შეტანა.



ვახტანგ თოხაძე შვილიშვილებში.

ფოტოები გრიგოლ დადვაძისა

ეკიდება ვაჭრობის მუშაკების შრომას...

ლეონიდ ბრეჟნევი

გლენ სიბორგი: „თქვენი გამოკვლევები ძალზე ეფექტურია...“

საბჭოთა საქართველომ დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროში. ამ ფაქტის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ის წერილები და მოთხოვნები, რომლითაც უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ საქართველოს სამრეწველოებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს საზღვარგარეთიდან. პროდუქციას მარკით — „დამზადებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში“ — შეიძლება შეხვდეთ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

„კომეტა“ ფლორიდის ნაპირებთან

რუმინეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი, იტალია... უცხოურ შტემპელდასმული წერილები ხშირად მოდის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ფოთის გემთსარემონტო ქარხნის მისამართით. ეს გასაგებიც არის. „კომეტამ“ — ფოთელ გემთსარემონტოელთა პირმშომ — კეთილი სახელი მოიპოვა მსოფლიოს წყლებში. ქართული ხომალდები წყალქვეშა ფრთებით გამოირჩევიან მაღალი საექსპლუატაციო ხარისხით, კომფორტულობით, ადვილად სამართავია და აქვთ კარგი სიჩქარე — საათში 70-75 კილომეტრს ფარავენ.

1961 წელს „კომეტამ“ პირველად გადასერა შავი ზღვის ტალღები, შემდეგ კი სარეკლამო მოგზაურობა მოაწყო ევროპის გარშემო. უცხოური ფირმის წარმომადგენლებმა მაღალი შეფასება მისცეს „მფრინავ თბომავალს“.

ქარხნის მისამართით ნიუ-იორკიდან წერილი მოვიდა. ფირმა „ვირჟინ აილენდს ხაიდროლინზის“ წარმომადგენელი რენერტსი იწერებოდა: „მე განვიცადე ნამდვილი კმაყოფილება, როცა ვიხილე შესანიშნავი მფრინავი „კომეტა“ შარლოტა ამალიას ნავსადგურში. თქვენს თბომავალს შესანიშნავი საექსპლუატაციო თვისებები გააჩნია. ჩვენ დღეში რვა რეიდს ვაწყობდით. გადავიყვანეთ 25 ათასზე მეტი მგზავრი. ამერიკელები, ესპანელები, იტალიელები, პუერტორიკელები — ყველანი თქვენს თბომავალს მაღალ შეფასებას აძლევენ. საბჭოთა „კომეტა“ ერთადერთი თბომავალია, რომელიც ამჟამად დადის კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულებს შორის“.

ფოთის გემთსარემონტო ქარხნის კოლექტივმა უკვე რამდენჯერმე შეასრულა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული დაკვეთა.

მეცხრე ხუთწლედში „კომეტას“ წარმოება ორჯერ გაიზრდება. „მფრინავი“ თბომავალი უფრო ლამაზი და მოხდენილი გახდება.

ამერიკული ფირმის თხოვნით

„თბილისი. საცდელი ქარხანა „ჰიდრომტხელსაწყოები“. გთხოვთ დაგვიმზადოთ ზღვის ბარომეტრების, ტრიალების, ღრმაწყალა თერმომეტრების ჩასართავ-გამოსართავი ჰიდრომეტხელსაწყოების პარტია. ფირმა „ოუშენ ენდ ტრეველ კორპორეიშენ. ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატები“.

ქართველ ხელსაწყოთმშენებლებს არაერთხელ შეუსრულებიათ უცხოეთის ქვეყნების დაკვეთა. ამჟამად „ჰიდრომეტხელსაწყობის“ პროდუქცია ცნობილია პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ირანში, ბირმაში —მსოფლიოს 50 ქვეყანაზე მეტი იძენს აქტინომეტრულ და ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოებს თბილისური მარკით. ისინი ფართოდ გამოიყენებიან ჰიდრომეტქსნიკურ ნაგებობათა მშენებლობაში, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში. ამერიკის შეერთებული შტატები 56-ე ქვეყანაა, სადაც თბილისელმა ხელსაწყოთმშენებლებმა გაგზავნეს თავიანთი პროდუქცია.

თბილისური ზუსტი ხელსაწყოები არაერთხელ ექსპონირებულა სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე. მათი მაღალი საექსპლუატაციო თვისებები აღინიშნა საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე თეირანში და საბჭოთა საექსპოზიციო ცენტრის გამოფენაზე შვეიცარიის ქალაქ ბაზელში.

ობიექტივშია საბჭოთა კავშირი

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კულტურული ურთიერთობის გეგმის თანახმად ამერიკის ექვს ქალაქში გაიმართა გამოფენა „საბჭოთა კავშირი მხატვრულ ფოტოგრაფიაში“. ოკეანისგაღმა ქვეყანაში გამგზავრებამდე ჩვენმა ფოტოხელოვნებმა ძალზე საპასუხისმგებლო გამოცდა გაიარეს მოსკოვში. ჟურნის მისამართით პროფესიონალთა და მოყვარულთა 70 ათასზე მეტი ნამუშევარი მოვიდა, რომელთაგან მხოლოდ 1200 ექსპონატს დაელოცა გზა.

ექსპოზიციის დამთვალიერებლებმა, ვაშინგტონის, ნიუ-იორკისა და ამერიკის სხვა ქალაქების მცხოვრებლებმა თავისებური მოგზაურობა მოაწყეს საბჭოთა ქვეყანაში: ფოტოდოკუმენტებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხების მატერიალური და სულიერი კულტურის არაჩვეულებრივი აღმავლობა. ამ ექსპოზიციაში სხვა მოძმე რესპუბლიკების დოკუმენტალისტთა ნაწარმოებებთან ერთად წარმოდგენილი იყო საქართველოს 15 ფოტოხელოვანის 30 ნამუშევარი: ოთარ თურქია „ქართველი გოგონა“, ბონდო დადვაძის „პორტრეტი“, დიმიტრი დავიდოვის „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვასო გოძიაშვილის პორტრეტი“, სერგო ჭანტურიას „შემოდგომა“ და სხვა.



საბჭოთა გამოფენები ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის პროგრამის მუდმივ ნიშანსვეტად იქცა. ნიუ-იორკში, ჩიკაგოსა და სანფრანცისკოში გაიმართა საბჭოთა კავშირის ბავშვთა მხატვრული და ტექნიკური შემოქმედების გამოფენები. მასში მონაწილეობდნენ ნორჩი თბილისელებიც — ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელები.

წლეულს იანვარში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყო გამოფენა — „ხალხური შემოქმედება საბჭოთა კავშირში“. ექსპოზიციაში მთელი ჩვენი ქვეყნის მხატვრებთან ერთად გამოფენილი იყო ქართველ ოსტატთა ნამუშევრებიც. გამოფენამ ექვს თვეს გასტანა.

დახმარებისათვის — საბჭოთა მეცნიერებთან

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა ვალერიან მაისაიამ ნიუ-იორკიდან წერილი მიიღო. მისი ავტორი, ბრუკლინის კოლეჯში ფსიქოლოგიის შემსწავლელი სპეციალური ცენტრის დირექტორი, პროფესორი ივან დ. ლონდონი წერდა: „პატივცემულო კოლეგავ! ნიუ-იორკის უნივერსიტეტმა ბრუკლინის კოლეჯთან ჩამოაყალიბა ფსიქოლოგიის შემსწავლელი სპეციალური ცენტრი. ცენტრის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ამ გზით ხელს შეუწყობს ფსიქოლოგიის, როგორც ჰუმანიტარული უნივერსალური დისციპლინის, განვითარებას და ნაყოფიერ ურთიერთკავშირს დაამყარებს მთელი მსოფლიოს ფსიქოლოგთა შორის. ჩვენ ძალზე დაგვაინტერესა თქვენმა წერილმა — „საჭმლის მომნელებელი ზოგიერთი ორგანოს მორფოლოგიური ცვლილების საკითხისათვის თავის ქალასა და ტვინის მწვავე ტრავმის დროს“. მადლობელი ვიქნებით, თუ თქვენს ამ ნაშრომს გამოგვიგზავნით ჩვენს ცენტრში“. ვალერიან მაისაიამ დააკმაყოფილა ამერიკელი მეცნიერის ეს თხოვნა.

რატომ დაინტერესდა ამერიკელი მეცნიერი ვალერიან მაისაიას ნაშრომით?


„ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ტრავმით გამოწვეული უბედური შემთხვევები, გულ-სისხლძარღვთა და კიბოს დაავადებებთან ერთად, ნაადრევი სიკვდილიანობის მიზეზთა ერთ მესამედს შეადგენს ჩვენს პლანეტაზე, ხოლო 45 წლამდე ასაკის ადამიანთა შორის ტრავმისაგან გამოწვეული სიკვდილიანობა — პირველ ადგილზეა. მხოლოდ სამანქანო კატასტროფების დროს 1970 წელს ამერიკაში დაშავდა მილიონზე მეტი ადამიანი, მათ შორის საგზაო ტრავმატოლოგიური შემთხვევების 50-დან 80 პროცენტი თავის ქალასა და ტვინის დაზიანებაზე მოდის. ამერიკაში თავის ქალასა და ტვინის ტრავმების საგანგაშო ზრდის საკითხი სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემად იქცა. სწორედ ამით არის გამოწვეული ამერიკელი მეცნიერების ინტერესი საბჭოთა ნეიროქირურგებისადმი, რომლებმაც დიდ წარმატებას მიაღწიეს ტრავმატიზმთან ბრძოლაში.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტის თანამშრომლები საინტერესო მუშაობას ეწევიან. ვალერიან მაისაიამ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ზოგიერთი საჭმლისმომნელებელი ორგანოების მოქმედების ფუნქციონალური დარღვევები თავის ქალასა და ტვინის მწვავე ტრავმის დროს“. აკადემიკოსმა ფილიქს უგლოვმა ქართველი ნეიროქირურგის გამოკვლევებს მაღალი შეფასება მისცა: „ჩვენ მოვისმინეთ ძალზე საინტერესო ცნობა, ბევრისმთქმელი არა მხოლოდ ახალგაზრდებისათვის, არამედ გამოცდილი ქირურგებისათვისაც“.

იკვლევენ აღმოსავლეთმცოდნეობას

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კოლექტივს მჭიდრო ურთიერთობა აქვს მსოფლიოს ბევრ სამეცნიერო ცენტრთან. ინსტიტუტის მისამართით სისტემატურად მოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები, ცალკეული ანაბეჭდები, სტატიები უნგრეთიდან, პოლონეთიდან, ინგლისიდან, ეგვიპტიდან. კონტაქტები უცხოელ კოლეგებთან ყოველწლიურად იზრდება. ინსტიტუტის მუშაობას თავის დროზე გაეცნენ მასაჩუსეტის შტატის ბრანდეის უნივერსიტეტის პედაგოგები ბენი კრაუტი და პოლ ჰიუზი. ეხლახანს კი ინსტიტუტში წერილი მოვიდა ამერიკიდან, მასში მაღალი შეფასება ეძლევა ქართველ მეცნიერთა კვლევის სიღრმესა და დიაპაზონს.

„დარწმუნებით შეიძლება ითქვას,— იწერებიან ბრანდეის უნივერსიტეტის პედაგოგები, — რომ თქვენი ინსტიტუტი აღმოსავლეთმცოდნეობის საკითხების შესწავლის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრია მსოფლიოში“.



„კომეტა“ გასაგზავნად დატვირთეს...

ფოტო მალხაზ დათიკაშვილისა.

ეცნობიან საქართველოს

„საბჭოთა კავშირში მეოთხედ ვარ. ამ დროის განმავლობაში საბჭოთა მეცნიერებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს, გაიზარდა სამეცნიერო დაწესებულებათა რიცხვი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის სამეცნიერო კავშირი ხელს შეუწყობს ადამიანის ცოდნის გაფართოების პროგრესის საქმეს“ — განაცხადა საბჭოთა კავშირში ყოფნისას ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, ამერიკის ატომური ენერგიის კომიტეტის თავმჯდომარემ გლენ სიბორგმა.


ბირთვული ქიმიისა და ბირთვული ფიზიკის სახელგანთქმულმა მეცნიერმა შარშან სამი დღე გაატარა საქართველოში. სხვა ამერიკელ მეცნიერებთან ერთად იგი გაეცნო თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს. ამერიკელი სტუმრები ეწვივნენ სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. მათ დაათვალიერეს სტაბილური იზოტოპების კონცენტრაციის, იზოტოპური შემადგენლობის საკონტროლო, ქიმიური ანალიზის დანადგარები, რომელთა ავტორები ქართველი მეცნიერები და ინჟინრები არიან. ინსტიტუტის შთაბეჭდილებათა წიგნში დელეგაციის ხელმძღვანელმა გლენ სიბორგმა შემდეგი სიტყვები ჩაწერა: „თქვენი გამოკვლევები და წარმოების პროგრამა ძალზე ეფექტურია და ჩვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა“...

სტუმრები დიდად დაინტერესდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მუშაობით. ჩვენი ქვეყნის ამ ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრის კედლებში შექმნილია ტრეკის ნაპერწკლური საკანი კოსმოსური კვლევისათვის. მისმა ავტორებმა ლენინური პრემია მიიღეს.

მეგობრობა მტკიცდება

სოხუმში გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მოეწყო ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით. აფხაზეთის დედაქალაქში ჩამოვიდნენ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ უცხოეთის დიდი მეცნიერებიც. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით ამ ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა ცნობილი ამერიკელი ნეიროფიზიოლოგი, ჭალაქ ბეტესტას (მერილენდის შტატი) ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის ერთ-ერთი ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი რონალდ მაიერსი, რომელმაც განაცხადა:


„მოხარული ვარ, რომ საქართველოში ყოფნის საშუალება მომეცა რამდენიმე დღე ვეცნობოდით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მუშაობას. ქართველმა მეცნიერებმა ნეიროფიზიოლოგიის დარგში დიდ წარმატებას მიაღწიეს. განსაკუთრებით ინტერესით გავეცანი ლაბორატორიის მუშაობას, რომელსაც პროფესორი ვახტანგ მოსიძე ხელმძღვანელობს. საქმე ის არის, რომ ამ ლაბორატორიის თანამშრომელნი მუშაობენ პრობლემაზე, რომელიც ჩემი მრავალი წლის კვლევის ობიექტი არის — თავის ტვინის ნასვავრსფეროების ურთიერთმოქმედების მექანიზმის საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიასა და ნევროლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხია.



თბილისმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. დავათვალიერე ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ძეგლები, ვიყავი ახალშენებლობათა რაიონებში, ექსკურსიაზე საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში.

დარწმუნებული ვარ, რომ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა პირადი კონტაქტები ხელს შეგვიწყობს დაახლოებასა და უკეთაგებაში, დავგისახავს მომავალი მეცნიერული კვლევის გზებს ადამიანის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ“.

შალვა სვანი



სურათებზე: ირაკლი ოჩიაურის ნამუშევრები: „ახალგაზრდობა“, „ბიჭი და ხარი“; სოსო ქოქიაშვილის — „ხმოსური გოგონა“.

ვახტანგ გორგანელი

ძმობის კავშირი

ომი ომს სცვლიდა,
ნიაღვარი დიოდა სისხლის,
ომების ღმერთი
მაინც იყო სისხლის მდომელი,
მაკედონელმა
ბევრჯერ ზეცა აავსო რისხვით,
მაგრამ რა მოჰყვა
ძლიერებას მაკედონელის?
ამ დედამიწის
ბილიკები ვინ აღარ თელა,
რამდენჯერ დილა
დაემსგავსა ჯუნაპეტ ღამეს.
ცას შემოავლო
ჩინგიზხანმა შუბების ელვა,
მაგრამ რა მოჰყვა
თვით ჩინგიზხანს
ან და სხვა ხანებს?
სიკვდილს ჰფანტავდნენ
სივრცეებში ცეცხლის
შოლტები,
ილეწებოდა მკერდი მეომრის.
ნაპოლეონის
შიშით ძრწოდნენ ჰორიზონტები,
მაგრამ რა მოჰყვა
ძლიერებას ნაპოლეონის?
ბნელს ბნელი სცვლიდა,
გულში ისევ მწუხრი წვებოდა.
კვლავ ეშაფოტი,
ტახტზე იჯდა კვლავ ანგარებაჯ
და ძველებურად,
ძველებურად მეორდებოდა
ისევ სისხლისღვრა,
ისევ ომი, ისევ ვაება.
მზე მზეს არ ჰგავდა,
მთვარე მთვარეს და სითბო
სითბოს,
არვის ესმოდა
ტკივილები გზააბნეულის,
სანამ თვით ხალხმა
არ მიაგნო მომავლის ხვითოს
და თვით არ პპოვა თვისი
რჩეული.
კაცმა ჰპოვა და
რისხვად შეჰკრა ცრემლები
დედის,
ხალხის რჩეულმა
უიმედოს ნუგეში მისცა,
ისევ გამთენდა
გაბნეული სიმღერა გედის,
გაუთბა მკერდი
გაყინულ მიწას.
გლოვა მთესველის,
ბოღმა მჭედლის,
მოთქმა მართალთა,
დღეის დღის ნატვრა,
რომ გადადის გულებში ფიცად,
ეს უველაფერი
ყანასავით ამოთავთავდა
და მისი ღელვა სივრცეებს
მისწვდა.
წვეთს წვეთი გაჰყვა,
წამოჭუხდნენ მდინარედ,
ზღვებად,
ცისკრის დროშებით
დაიფარა მშობელი მიწა,
გაერთიანდა
მილიონთა ლტოლვა და გზნება
და საბჭოეთის კავშირად იქცა.
იცის უამთასვლამ
რა მოჰქონდა
ომების ელდას,
იცის უამთასვლამ
აგებული კოშკები ცათა,
მაგრამ არ იცის
მასზე დიდი სიმაგრე ჭვეუნად
საბჭოთა ძმობის კავშირის
გარდა.
ჰკითხეთ სტალინგრადს,
რაიხსტაგის დანგრეულ
კედლებს,
ჰკითხეთ ხუთწლედებს
და მთვარეზე ატანილ ვიმპელს,
კავშირის ძმებმა თუ როგორ
შესძლეს
ეჩვენებინათ მსოფლიოსთვის
ამ ძმობის სიღრმე.
ეს ხალხთა ძმობა —
ჩვენი წინსვლის ფუძე და აზრი,
თანასწორობის
ერთი საქმის დიდების მჩენი,
სამარადისოდ ურყევია,
რადგანაც მასში
ჩაკირულია
შენი, ჩემი,
სიცოცხლე ჩვენი.
მას ვერც გრიგალი,
ვერც მღელვარე ტალღები
წაშლის,
ვინ რას დააკლებს
მის ალისფერ მერიდიანებს.
კავშირი ძმობის ურყევია,
რადგანაც მასში
ჩაქსოვილია
შენი, ჩემი,
ჩვენი სიამე.
ამ შემართებას,
ამ სიამეს არ აქვს ნაპირი,
მისი მგზავრია
ვარდის სუნთქვა,
თრთოლვა იების
და ქვეყანაზე ამას ამბობს ჩვენი
კავშირი —
შენც ძლიერი ხარ,
მეც ძლიერი,
ჩვენ ვართ ძლიერი.
იცი, მამულო,
ძმობის ფასი, შენ კარგად იცი,
იცი, უძმოს და უთვისტომოს
სადა აქვს ბოლო.
შენ ძმებთან ერთად
მოიშორე ხუნდები სიმწრის
და იმის შემდეგ
არ უნახავს შენი ცა ბოროტს.
დე, ნურც ენახოს
გადამთიელს შენი მინდვრები,
ავის მდომელი
ნურც მოსულა მამულის
ზღურბლთან.
შენი ალალი ქართველობით,
ენით, სიკეთით,
ამ მზით, არ მიწით
ძმათა გვერდით ბრწყინავდე
მუდამ.
თქვი და სამშობლოვ,
კვლავაც შენთვის წარბს არ
შევიხრით,
თქვი და სამშობლოვ,
სიკვდილიც კი გულს არ
ეძნელოს.
შენი მშვიდობის,
შენი ყოფნის,
შენი ბედ-იღბლის
და შენი ძმების ვსვამ
სადღეგრძელოს!

მწერლობა — მეგობრობის უპირველესი საწინდარი

ქართველ ხალხს ოდითგანვე ახლო ურთიერთობა ჰქონდა მოწინავე კულტურის მქონე მრავალ ქვეყანასთან. ქართველ კაცს თავისი ახლო თუ შორეული მეზობელი ერების სულიერი საგანძურიდან ბევრი კარგი და საჭირო თავის ენაზე აუმეტყველებია და ამით კიდევ უფრო გაუმდიდრებია ჩვენი ხატოვანი კაზმულსიტყვაობა.

საქართველოში უძველესი თარგმანები თავიანთ არსებობას მეექვსე საუკუნიდან ითვლიან. თავდაპირველად ითარგმნებოდა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიური წყაროები. შემდეგ კი იწყეს მაჰმადიანური აღმოსავლეთის (სპარსული, თურქული) და ქრისტიანული ევროპის ლიტერატურის ნიმუშების თარგმნაც.

ჩვენს მამა-პაპათ უყურადღებოდ არც გერმანული ლიტერატურა დაუტოვებიათ. ამასთანავე სათარგმნ მასალას არასოდეს ჰქონია შემთხვევითი ხასიათი. გერმანული ლიტერატურის საგანძურიდან ჩვენს ენაზე თითქმის ყოველთვის ისეთი თხზულება გადმოჰქონდათ, რომელთა იდეური გამოზნულობა შეეფერებოდა აზროვნების ადგილობრივ მიმდინარეობას და რომლებშიც მხატვრული სიტყვის ქართველი მესვეურები ბევრ საჭირბოროტო პრობლემებზე პოულობდნენ პასუხს. ამასთანავე ჩვენში ერთნაირი სიყვარულითა და მონდომებით ითარგმნებოდა როგორც პროზაული, ისევე პოეტური და დრამატული ნაწარმოებები.

გერმანული დრამატურგია საქართველოში მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა. გერმანელ დრამატურგთა ქმნილებანი არა მარტო ითარგმნებოდა, არამედ სისტემატურად იდგმებოდა კიდეც. ქართული თეატრის მოღვაწენი მათ უსადაგებდნენ ქართულ სინამდვილეს, ნაწარმოებში კორექტივები შეჰქონდათ განსხვავებული ისტორიული ვითარებისა თუ სოციალური გარემოს ჯარნახით.

ჯერ კიდევ მირიან ბატონიშვილმა, მეფე ერეკლე II-ის ვაჟმა, სცადა კალამი გერმანული პიესის გადმოქართულებაში. მან ლესინგის თანამედროვისა და თანამებრძოლის იოჰან ვილჰელმ ბრავეს „ატეისტის ტრაედია“ გადმოიღო ქართულად. ნიკოლოზ ბარათაშვილი დაინტერესდა მეამბოხე მწერლის ი. ლაიზევიცის პიესით „იულიოს ტარენტელი“ და თარგმნა კიდეც. (უკანასკნელ ხანებში ეს ნაწარმოები განმეორებით გადმოაქართულა გიორგი ნადირაძემ). გიორგი ერისთავმა გადმოაკეთა ფრიდრიხ ჰალმის „გრიზელდა“. ამის შემდეგ გერმანული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა და ქართულ სცენაზე ზოგიერთი მათგანის გასცენურება ჩვენში კეთილ ტრადიციად იქცა.

ქართველებისათვის მეტად ახლობელი აღმოჩნდა ლესინგის მოწინავე იდეები, მისი ბრძოლა დესპოტიზმისა და რელიგიის წინააღმდეგ. ამჟამად გვაქვს ლესინგის ყველა ძირითადი დრამის კარგი ერთტომეული. მოგვეპოვება აგრეთვე გოეთეს დრამები (თარგმანი ვახტანგ ბეწუკელისა), თარგმნილ ლიტერატურას ამშვენებს „ფაუსტიც“ (თარგმანი დავით ონიაშვილისა).

ჩვენი თეატრების რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს შილერის პიესებმა. მათი დადგმა საქართველოში გასული საუკუნის 80-იან წლებში იწყება და იმ დროიდან მოკიდებული დღემდე დიდი მოწონებით სარგებლობს.

უკანასკნელ ხანებში გამოიცა შილერის რჩეულ თხზულებათა სამტომეული, რომელშიც პოეზიისა და დრამის ნიმუშებთან ერთად შეტანილია წერილები ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ (მათი ითარგმნელებია ვახტანგ ბეწუკელი, აკაკი გელოვანი, გიორგი ნადირაძე, კარლო ჯორჯანელი, ხარიტონ ვარდოშვილი, ვერკლე ტატიშვილი, სანდრო შანშიაშვილი და სხვები), ჩვენში დიდი წარმატება ჰქონდა აგრეთვე „ახალგაზრდა გერმანიის“ ლიტერატურული ჯგუფის წარმომადგენლის კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტას“.

ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვრებაში გარკვეული როლი ითამაშეს ნატურალისტი მწერლების — გერჰარდტ ჰაუპტმანისა და ჰერმან ზუდერმანის პიესებმა. ჩვენში იდგმებოდა აგრეთვე ლუდვიგ ფულდას, ოტო ერნსტის, ფრანც ბაიერლაინის, ადოლფ შვაიგრისა და სხვათა დრამატული ნაწარმოებები. უახლოესი პერიოდის დრამატურგთაგან გავიცანით ექსპრესიონისტი მწერლები — გეორგ კაიზერი, ფრანც ვერფელი, ერნსტ ტოლერი და ვალტერ ჰაზენკლევერი. აგრეთვე აღსანიშნავია დემოკრატიული გერმანიის დრამატურგების — ფრიდრიხ ვოლფისა და ბერტოლტ ბრეხტის ქართულად ამეტყველება. ჩვენმა სასიქადულო რუსთაველის თეატრმა ადრე გასცენიურა ვოლფის „პროფესორი მამლოკი“, ხოლო უკანასკნელ ხანებში — ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“ (თარგმანი კარლო და გოგი ჯორჯანელებისა) და „სეჩუანელი კეთილი კაცი“. (ნოდარ რუხაძისა და ავთანდილ სვანის თარგმანი).

ზოგჯერ რუბრიკით — „აზრი ნემეცურიდან“, ჩვენი მოღვაწენი გერმანულ პიესებს „აქართულებდნენ“. მაგალითად, ვალერიან გუნიას კომედია „აღლუმი“ და ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით“.

გვაქვს გერმანული პროზაული ნაწარმოების ქართულად ინსცენირების შემთხვევაც: შვეიცარიელი-გერმანელი მწერლის ფრიდრიხ დიურენმატის მოთხრობა „ავარია“ სასცენოდ გადაკეთა გიორგი ჟურულმა. იგი დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში 1967 წელს.

ქართულ ენაზე მკითხველები სიყვარულით კითხულობენ XII-XIII საუკუნეების გმირული ეპოსის უმნიშვნელოვანეს ძეგლს „სიმღერას ნიბელუნგებზე“ (მთარგმნელი კონსტანტინე ჭიჭინაძე), ხალხურ ბალადებს. ილია ჭავჭავაძემ გადმოაკეთა ჰაინესა და რიუკერტის ლექსები, გრიგოლ ორბელიანმა — გოეთეს „მთანი მაღალნი“. ითარგმნა შილერის ლექსები, განსაკუთრებული სიყვარულით კი — ჰაინეს თხზულებები.

ჰაინეს თარგმნას დასაბამი ილიამ და აკაკიმ დაუდეს. თავდაპირველად გადმოაქართულეს ლექსები „სიმღერათა წიგნიდან“, შემდეგ სხვა კრებულებიდანაც. ჰაინეს სატრფიალო ლირიკის ნიმუშების თარგმანი ეკუთვნის იოსებ ბაქრაძეს, რომელმაც ერთი ლექსი იმდენად ოსტატურად გადმოიღო, რომ მას ხალხი დღესაც მღერის — „ტურფავ, ტურფავ, რას უყურებ“.

1905-1907 წლებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქციის უმძიმეს პერიოდში ქართველი ხალხისათვის მახლობელი აღმოჩნდა ჰაინეს ოპტიმიზმი და საბოლოო გამარჯვების რწმენა. 1913 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ჭოლა ლომთათიძის თარგმნილი „ჰენრიხ ჰაინეს ლექსები“. ჭოლა ლომთათიძის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სათარგმნელად შერჩეული ლექსების მრავალფეროვნება. ჰაინეს გადმოქართულების ისტორიაში მან პირველმა მიაქცია ყურადღება პოეტის სატირიკულ ლექსებს და ტენდენციურ ლირიკას.

ჰაინეს პოეტური თხზულებებით დაინტერესდნენ ჩვენს დროშიც. ლექსებთან ერთად ითარგმნა პოემები — „გერმანია — ზამთრის ზღაპარი“ (კონსტანტინე ჭიჭინაძის, კარლო კალაძისა და გრიგოლ აბაშიძეს თარგმანები) და „ატატრული“ (აკაკი გელოვანის თარგმანი). ქართულად ამეტყველდა გერმანიის პროლეტარიატის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტის გეორგ ვეერთის ტომიც (თარგმანი აკაკი გელოვანისა). უდაოდ საინტერესო მოვლენაა ორი კრებულის გამოსვლა — „გერმანული ბალადები“ (მთარგმნელი — აკაკი გელოვანი) და „დემოკრატიული გერმანიის პოეტები“ (ვახტანგ ბეწუკელი). ამათგან პირველი მკითხველებს აცნობს როგორც ხალხური გერმანული ბალადების ნიმუშებს, ისე ბალადებს ჰელდერლინიდან — ულანდამდე და ულანდიდან ახალ დრომდე. მეორე კრებულში წარმოდგენილია დემოკრატიული გერმანიის ცნობილი პოეტების ნაწარმოებები. ქართულ ენაზე ცალკე წიგნებად გამოვიდა აგრეთვე ხარიტონ ვარდოშვილის თარგმნილი შილერის, ჰაინესა და გოეთეს ლექსები, ვახტანგ ბეწუკელის მიერ თარგმნილი გოეთეს ლირიკა, „რაინეკე მელა“ და „ჰერმან და დოროთეა“, აკაკი გელოვანის მიერ თარგმნილი ჰაინეს რჩეული ლირიკა და სხვა.

გერმანული პროზაული თხზულებებიდან აღსანიშნავია „შილდბიურგერთა თავგადასავალი“ (თარგმანი ვახტანგ ჭოჭორაძისა), ძმები გრიმების ზღაპრები (თარგმანი ნიკო ლორთქიფანიძისა, ნონა კალანდარიშვილისა, მერი გომართელისა, ჯემალ ქარჩხაძისა, დავით წერედიანისა, გიორგი ბახტაძისა და სხვათა), „ტილ იოლენშპიგელი“ (თარგმანი ვახტანგ პაიკიძისა) და სხვა. ითარგმნა გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ (კონსტანტინე გამსახურდია); გერმანელი შვეიცარიელი მწერლის გოტფრიდ კელერის „ზელდვილელნი“ (მთარგმნელები ზურაბ ჩხენკელი, ნონა კალანდარიშვილი, ლ. პაპასკირი და რუსუდან ქებულაძე). რომანტიკოსი მწერლის ვილჰელმ ჰაუფის „შპესარტის სასტუმრო“ (მთარგმნელი ელისო ხოშარელი), „ქარავანი“ (მეღია დიდებულიძე) და ბრწყინვალე ისტორიული რომანი „ლიხტენშტაინი“ (აკაკი გელოვანი). განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა თანამედროვე გერმანული პროზა. ითარგმნა თომას მანის მოთხრობები (დალი კოკაია-ფანჯიკიძე, პავლე ჩარკვიანი, ნოდარ რუხაძე, გოგი და კარლო ჯორჯანელები, ციალა ჩხეიძე, აკაკი გელოვანი, გ. ჭოხონელიძე, ნიკო ანდრონიკაშვილი, ოთარ წერეთელი, დავით წერედიანი, ნონა კალანდარიშვილი, ირაკლი სურგულაძე, ზურაბ ჩხენკელი, რევაზ ყარალაშვილი და სხვა). დიდი ეპიკური ტილო „ბუდენბროკები“ (მთარგმნელი დალი კოკაია-ფანჯიკიძე), ჰაინრიხ მანის „ანრი მეოთხე“ (ვახტანგ ბეწუკელი), მოთხრობები (ნოდარ რუხაძე), ლიონ ფოიხტვანგერის „ცრუ ნერონი“ (დავით წერედიანი და ჯემალ ქარჩხაძე), „ესპანური ბალადა“ (ლეილა ხუჭუა და ელენე კოდუა); ბერნარდ კელერმანის „გვრიბა“ (ლ. ჯაფარიძე), „ძმები შელენბერგები“ და „სივრცის როკვა“ (ნონა კალანდარიშვილი); ანა ზეგერსის „მიცვალებულები ახალგაზრდები რჩებიან“ (თინათინ ჭელიშტი და თინათინ გელაშვილი); იური ბრეზანის „ამშავი ერთი სიყვარულისა“ (დალი ბუჩუკური). ვილი ბრედელის „ერნსტ ტელმანი“ (ოთარ გვინჩიძე), „50 დღე“, ტრილოგია „ნათესავები და ნაცნობები“ (ნონა კალანდარიშვილი), ერიხ მარია რემარკის „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“ (გოგი და კარლო ჯორჯანელები), „სამი მეგობარი“ (გივი კარბელაშვილი), „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ (კონსტანტინე გამსახურდია), შტეფან ცვაიგის ნოველები (ოთარ ჭუმბურიძი, ელისო ხოშარელი, ვახტანგ ბეწუკელი, მიხეილ მამულაშვილი, ნოდარ რუხაძე, ნონა კალანდარიშვილი, აკაკი გელოვანი, არჩილ ებრალიძე, ჯორჯანელები) და გმირული ბიოგრაფიები (აკაკი გელოვანი, შალვა ბუაჩიძე), „ბალზაკი“ (აკაკი გელოვანი); ბრუნო აპიცის „შიშველი ხელით მგლის ხრვაში“ (ვახტანგ ჭოჭორაძე); როზემარია შუდერის „მიჯაჭვული ტიტანი“ (აკაკი გელოვანი), ჰანს ფალადას „სიკვდილის დროს ყველა მარტოა“ (ნოდარ რუხაძე) და ზღაპრები (ნ. მაშვილაძე); ლეონარდ ფრანკის მოთხრობები (ვიოლეტა ფურცელაძე) და „იესოს მოწაფეები“ (ნელი ამაშუკელი), ჰაინრიხ ბიოლის „და არ უთქვამს არც ერთი სიტყვა“ (ნოდარ რუხაძე), ვოლფგანგ ბორხერტის ნოველები (ზურაბ ჩხენკელი), ბრიგიტე რაიმანის „დაძმა“ (ციალა ბიჩინაშვილი) და სხვათა პროზაული ქმნილებანი.

და მაინც ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მეგობრობისა, კულტურული და შემოქმედებითი ურთიერთობისა, რომელიც კიდევ უფრო განმტკიცდება და გაფართოვდება მომავალში.

ზოთა რევიშვილი,
პროფესორი

ქვირფას ხელნაწერს რომ მივაგნოთ...

1870 წლის 30 იანვარს გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა პლატონ იოსელიანის წერილი „შოთა რუსთაველი“, რაც წერილის ავტორს, როგორც ბოლოში დართული შენიშვნებიდან ვიგებთ, დაუწერია დუშეთში იმავე წლის 7 იანვარს.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე მსჯელობისას პლატონ იოსელიანი შენიშნავდა: „მე მინახავს სამი ძველი ხელნაწერი, რომლებიც გადაწერილია საუკეთესო კალიგრაფების მიერ. ყველაზე ძველი ნაწერია ნახევარი ფურცლის ზომის ეტრატზე, მაგრამ ნაკლულია. მე იგი მინახავს იმერელი თავადის პოლკოვნიკ გრიგოლ წერეთლის ხელში. ნაწერი იყო მსხვილი მრგვალი მხედრული ასოებით. გვერდების ჩარჩოები წითელი მელნით იყო დახატული. ამ ჩარჩოს ოთხსავე კუთხეში შვენოდა აღმოსავლეთის ღუდარჭინილ გემოვნებაზე გამოყვანილი ფიგურები. მგონია, რომ ხელნაწერი დამზადებულია მეფისათვის ან ვინმე მეფის გვარეულობის პირისათვის“. ამის შემდეგ პლატონ იოსელიანი იხსენებს ნ. ელიოზიშვილისა და თეკლა ბატონიშვილის კუთვნილ ხელნაწერებს.

ექვთიმე თაყაიშვილმა (მნათობი, 1958, № 7, გვ. 164) პოემის გრიგოლ წერეთლისეული ეტრატოვანი ხელნაწერი (პლატონ იოსელიანის მიერ დახასიათებული) გააიგივა ნესტორ წერეთლისეულ (s — 5006) ნუსხასთან.

აკაკი შანიძე არ იზიარებს ექვთიმე თაყაიშვილის აზრს (თსზუ ლებანი, II, 1966, გვ. 58-65, 214-246, 269-273). გრიგოლ და ნესტორ წერეთლისეულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა გაიგივების მყარი საფუძვლის უქონლობა შენიშნული აქვს აგრეთვე სარგის ცაიშვილს (ლიტერატურული წერილები, თბილისი, 1966, გვერდი 109). ამის მიუხედავად, ექვთიმე თაყაიშვილის ავტორიტეტულმა აზრმა მაინც თავისი გავლენა იქონია გარკვეულ სამეცნიერო წრეებზე და არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ერთგვარად შენელდა კიდეც ინტერესი ამ თითქოსდა ძველი, მეტად საინტერესო ხელნაწერის ბედისადმი.

ამიტომ მოგვიხდება პლატონ იოსელიანის ცნობის კიდევ ერთხელ შემოწმება....

ვინ იყვნენ გრიგოლ წერეთლის მემკვიდრეები, რომელთაც შეიძლებოდა დარჩენოდათ ძვირფასი და მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც, აკაკის ცნობების მიხედვით, გარდა საგვარეულო წიგნებისა, იოანე ბატონიშვილის, დადიანების, გურიელების, ზაქარია არქიმანდრიტისა და ივანე აბაშიძის კოლექციების თუ სხვათა ნაჭონი წიგნებიც ყოფილა (დროება, 1871, № 28).

1848 წლის დოკუმენტში გრიგოლ წერეთლის მემკვიდრეებად მოჩანან შვილი ალექსანდრე და შვილიშვილი ნესტორი.

მართალია, ალექსანდრე გრიგოლის ძის შესახებ ისტორიული დოკუმენტები ნაკლებად შენახულა, სამაგიეროდ, ცნობები მის ბიბლიოთეკაზე საკმაოდ აღმოჩნდა გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართულ პრესაში, კერძოდ გაზეთ „დროების“ ფურცლებზე (1871 № 19, № 28, 1873, № 20).

ალექსანდრე გრიგოლის ძე წერეთელი 1878 წლის დამდეგს გარდაიცვალა.

„დროება“ არ ივიწყებს მისი ბიბლიოთეკის ბედს: „იმერეთიდან გვაცნობებენ, რომ მიცვალებულ ალექსანდრე წერეთლის მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, რომელშიც, როგორც ამბობენ, ძალიან ბევრი ძველი ძვირფასი ხელნაწერებია თურმე, მემკვიდრეს ნ. წერეთელს წაუღია თურმე და „დროების“ რედაქცია სთხოვს თავად ალექსანდრე წერეთლის ბიბლიოთეკის პატრონს, რომ კატალოგი (სია) მაინც გამოგვიგზავნოს ამ წიგნებისა. ვიცოდეთ მაინც, რა წიგნებია და რა ხელნაწერები ამ ბიბლიოთეკაში“ (1875, № 79).

ალექსანდრე წერეთლის ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი დარჩენია მის ქვრივს ნ. ა. ერასთავს. ამაში გვარწმუნებს იქაია ჭყონიას მიერ 1879 წლის 17 ივლისს ჭუთაისიდან „დროებაში“ გამოგზავნილი კორესპონდენცია.

რაც შეეხება ნ. წერეთელს, რომელსაც ალექსანდრე წერეთლის ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი რგებია, უველა ნიშნის მიხედვით, იგი უნდა იყოს ალექსანდრე წერეთლის ძმისწული — ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელი.

დავუბრუნდეთ პლატონ იოსელიანის ცნობას. გამოირკვა, რომ პლატონ იოსელიანის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ეტრატოვანი ხელნაწერის მფლობელად დასახელებული იმერელი თავადი პოლკოვნიკი გრიგოლ წერეთელი ყოფილა საჩხერელი დიდი თავადი გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი (1789-1843 წწ). ამ გრიგოლ წერეთელს რომ პლატონ იოსელიანი კარგად იცნობდა, ცხად დ მოწმობს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში პლატონ იოსელიანის არქივში დაცული მაიორ გრიგოლ წერეთლის 1821 წელს პოდპოლკოვნიკად გახდომის ოფიციალური, მთავარმართებელ ერმოლოვის ხელმოწერილი დოკუმენტის დედანი. ამდენად გრიგოლ წერეთელი პლატონ იოსელიანს სხვა ვინმეში უბრალოდ არ აერეოდა. პლატონ იოსელიანს მის ხელში „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი შეიძლებოდა ენახა არა უადრეს 1838 წლისა, სანამ გრიგოლ წერეთელი პოლკოვნიკი გახდებოდა და არა უგვიანეს 1843 წლისა (როდესაც გრიგოლი გარდაიცვალა), ე. ი. 1838-1843 წლებში.

გრიგოლ წერეთლის პირდაპირი შთამომავალი (შვილიშვილი) ყოფილა ნესტორ წერეთელი, რომელსაც მემკვიდრეობად მიუღია თავისი პაპის უმდიდრესი ბიბლიოთეკის ნაწილი; სწორედ ამ ნესტორ წერეთლის ოჯახში აღმოჩნდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში „ვეფხისტყაოსნის“ ერთი უველაზე მდიდრულად დასურათებული ხელნაწერი (დღევანდელი s-5006), და იქნებ სწორედ ის, რომელიც პლატონ იოსელიანს აქვს გრიგოლ წერეთლისეულად მოხსენებული. მაგრამ მაინც გვგონია, რომ საქმე უნდა გვქონდეს ორ სხვადასხვა ხელნაწერთან. საქმე ის არის, რომ 1880 წლის 9 დეკემბერს „დროებაში“ გამოქვეყნდა ძველი ქართული ხელნაწერების მცოდნისა და ცნობილი მოამაგის გრიგოლ დავითის ძე გურიელის ცნობა: „მე როგორც მახსოვს, ბიძაჩემს ქაიხოსრო გურიელს ჰქონდა დაწაფთი მამიდგან ერთი კარგი „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის ხელნაწერი და შიგ გამოხატული მოქმედი პირებით, რომელნიც უნდა იყოს, ჩემის აზრით, პირველი ან სისწორით გადმოწერილი. დღეს ის, როგორც ვიცი, აქვს ჩემს ბიძაშვილს პელაგიას, ნესტორ წერეთლის მეუღლეს. ამისათვის არ იქნება ურიგო, რომ ვეფხისტყაოსნის რედაქციამ იმას მიმართოს თხოვნით, რომ გამოგზავნოს და იმედია უარს არ იტყვის....“.

მართლაც ეს ხელნაწერი მალე მოხვდა იონა მეუნარგიას ინიციატივით შექმნილ პოემის ახალი გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის ხელში (1881 წლის იანვარში ხელნაწერი უკვე თბილისში იყო ჩამოტანილი დროებით სარგებლობისათვის). ჩვენთვის კი მთავარია ის, რომ დღევანდელი s-5006 ხელნაწერი გრიგოლ გურიელის ცნობით, ქაიხოსრო გურიელის საკუთრება იყო და შემდეგ მზითვად გაჰყვა პელაგია ქაიხოსროს ასულს ზემო იმერეთში და მოხვდა მისი ქმრის ნესტორ წერეთლის (გრიგოლ წერეთლის შვილიშვილის) ოჯახში. ეს ხელნაწერი რომ თავიდან გრიგოლ წერეთლის კუთვნილება ყოფილაყო, გრიგოლ გურიელი არ იკადრებდა იგი გურიელების საკუთრებად გამოეცხადებინა: ამას „დროების“ ფურცლებზე ვერც იტყოდა, რადგან ნესტორ წერეთელი, მისი სიძე, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო (იგი 1883 წელს გარდაიცვალა).

უველ შემთხვევაში ფაქტია, რომ იმ დროს საჩხერეში წერეთლების ოჯახში, პელაგიო და ნესტორ წერეთლების ჩვენამდე მოღწეული „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, მეორე ხელნაწერიც იყო. 1880 წლის „დროების“ № 270-ში დაბეჭდილია: „ჩვენ გვითხრეს სანდო კაცებმა, რომ საჩხერის მცხოვრებელს თ. ა. დავითის ძე წერეთელს აქვს ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ღირსებით და სიძველით თურმე სჯობია თ. პელაგია წერეთლის „ვეფხისტყაოსანს“. მივიქცევია ამაზე პოემის რედაქციის ყურადღება“.

ამის მიუხედავად, ეს ხელნაწერი მაინც ვერ მოხვედრილა იონა მეუნარგიას ხელში, ხოლო ჩვენთვის მისი კვალიც კი დაიკარგა.

ამიტომ ჩვენი ამოცანაა: გამოვარკვიოთ გრიგოლ წერეთლის მემკვიდრეთა გვიანდელი პირდაპირი შთამომავლობა (უფრო, ალექსანდრე გრიგოლის ძე წერეთლისა და აგრეთვე ნესტორ წერეთლის ხაზით), დავადგინოთ, ვინ იყო ეს თ. ა. დავითის ძე წერეთელი (რომელსაც ამ 90 წლის წინათ „ვეფხისტყაოსნის“ s-5006 ნუსხაზე ძველი და მეტი ღირსების მქონე ხელნაწერი ჰქონია) და რა ნათესაურ კავშირში იყო გრიგოლ წერეთლის ოჯახთან.

რადგან ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული დოკუმენტები და ქართული პრესის მასალები ამის საშუალებას არ იძლევა, იქნებ დაგვეხმაროს ცოცხალი შთამომავლობა, რომ ძვირფასი ხელნაწერის კვალს მივაგნოთ.

გურამ შარაძე,

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

●

რედაქციისაგან: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია თხოვნით მიმართავს თავის მკითხველებს, თუ რამე იცით „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული ხელნაწერის შესახებ, მოგვაწოდონ ცნობები.

ნიკო ბური

1899 წელი... ინგლისელმა დამპყრობლებმა დაიწყეს ახალი ომი ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკების დამონების მიზნით. ინგლისმა ბრძოლის ველზე 350.000 ჯარისკაცი გამოიყვანა, მაგრამ მაინც ვერ გასტეხა თავისუფლებისმოყვარე ბურების ნებისყოფა. იმ ხანებში ილია ჭავჭავაძე წერდა „ივერიის“ ფურცლებზე: „თავმომწონობას ინგლისისა დიდი თავზარი დაეცა, ეს მართლა-და ძლიერი სახელმწიფო... ღამის დამარცხდეს ტრანსვაალის „ტტიებისაგან“, როგორც დაცინვით ინგლისელნი უწოდებდნენ სამხრეთ-აფრიკაში დაბინავებულ ჰოლანდიის გლეხობას, რომელიც დღეს გულ და გულ წინ აღუდგა და ინგლისს გამარჯვებით ეომებოდა. მარცხი მარცხზე მოსდის ინგლისსა და, არ იქმნა ომის ბედმა მისკენ დღეს აქამდეც ვერ მოიხედა. ამ ბოლო ხანებში თვით მთავარსარდამდგარი ინგლისის ლაშქრისა ბულლერი საშინლად დამარცხდა ბურებისაგან; იგი ბულლერი, რომელმაც, ლონდონიდან რომ მიდიოდა აფრიკაში, თითქმის იმედი მისცა, რომ ქრისტეს შობის დღესასწაულებს ბურების სატახტო ქალაქში, პრეტორიაში გადავიხდიო. ეხლა ამ თავმოწონებულმა და მოქადილე ვაჟბატონმა ეს დღესასწაულები უნდა გაატაროს თავში ცემით, ვაი-ეს რა უბედურება დამემართაო“.

მაგრამ დამპყრობელთა ძალების დიდმა სიჭარბემ თავისი გაიტანა. ინგლისელებმა აიღეს ბურების დედაქალაქი. ამის შემდეგ ბურები პარტიზანულ ბრძოლებზე გადავიდნენ, იბრძოდნენ ქალებიც და ბავშვებიც კი. ინგლისელი დამპყრობლები სასტიკ რეპრესიებს მიმართავდნენ და ტყვეებს ჯგუფ-ჯგუფად მუსრს ავლებენ.

1900 წელი. ერთ დამეს ინგლისელებმა ტყვეების უკანასკნელი ჯგუფი გაიყვანეს დასახვრეტად. როგორც ახალგაზრდა, ისე ხანდაზმული ბურები ამაყად თავაწეულნი იდგნენ მოღერებული ლულების წინ. ბურებთან ერთად აქვე იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მათს დასახმარებლად ჩამოსული მოხალისეები. განწირულთაგან ერთმა წარმოსადეგმა ვაჟკაცმა უბიდან პატარა სურათი ამოიღო და მთვარის შუქზე დიდხანს დასცქეროდა. ეს შენიშნა ინგლისელმა ოფიცერმა, ახლოს მივიდა, ტყვე ათვალ-ჩათვალიერა, სურათი გამოართვა და ტყვეს ჰკითხა:

— ვინ არის ეს ქალი, რატომ არის ასე უცნაურად გამოწყობილი?

ფოტოსურათზე ქალს ძველებური ქართული ყურთმაჯებიანი კაბა ეცვა და ლეჩაქი ეხურა.

— ჩემი დედაა! — ფრანგულად უპასუხა დასახვრეტად გაყვანილმა ტყვემ.

— მერედა შენ თვითონ ვინა ხარ?

— ქართველი. გვარად ბაგრატიონი!

ოფიცერს ეტყობოდა საიდანღაც გაგონილი ჰქონდა ეს გვარი, მან გაოცებულმა დაიხია უკან, მერე ტყვეს უბრძანა მწკრივიდან გამოსულიყო და სადღაც გაიქცა. სულ მალე მობრუნდა და ქართველი ტყვე ინგლისის ჯარების ფელდმარშალთან, ჰერბერტ კიტჩენერთან წაიყვანეს.

კიტჩენერი მეტად სასტიკი კაცი იყო. ბურები მას მახრჩობელა გველს ეძახდნენ.

ფელდმარშალი და ტყვე რამდენიმე წუთს უსმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— თქვენ ბავრატიონი ხართ? — დაარღვია სიჩუმე ფელდმარშალმა.

— დიახ, ბატონო!

— რატომ იბრძოდით ჩვენს წინააღმდეგ?

— იმიტომ, რომ ბურები თავისუფლებისათვის იბრძვიან, ყველა ხალხს უნდა შეეძლოს თავისუფლად იცხოვროს ამ ქვეყანაზე. ამისათვის ხალხი არ უნდა ისჯებოდეს.

კიტჩენერის თვალებში რისხვამ იელვა, მაგრამ მან თავი შეიკავა:

— მეამბოხეებს ჩვენ ვხვრეტთ. თქვენ კი, როგორც სამხედრო ტყვეს, გაიგზავნებით წმინდა ელენეს კუნძულზე, — თქვა კიტჩენერმა და შებრუნდა.

ადიუტანტმა გაიყვანა ტყვე და შეიარაღებულ ჯარისკაცებს ჩააბარა.

კარგა ხნის შემდეგ „ივერიამ“ გამოაქვეყნა ნიკო ბაგრატიონის წერილი, გამოგზავნილი წმინდა ელენეს კუნძულიდან. მასში აღნიშნული იყო:

„5 აპრილს, 1900 წელს, ბოზოკოსთან მომხდარ ცხარე ბრძოლის შემდეგ, სადაც გენერალი ვილბუა მოკლეს, ჩვენ ტყვედ წაგვიყვანეს და აი, ინგლისელებმა წმ. ელენეს კუნძულზე გამომგზავნეს წერის ნებას არ მაძლევენ და არა მჯერა, რომ ეს ღია ბარათი თქვენამდე მოაღწევს; როგორც კი ნებას მომცემენ, ყოველივეს დაწვრილებით გაცნობებთ“.

წმ. ელენეს კუნძულზე ნიკო ბურმა ექვს თვეზე მეტი დაჰყო. განთავისუფლების შემდეგ, სამშობლოში გამომგზავრების წინ, ბურმა ტყვე ოფიცრებმა მას გამოასათხოვარი სადილი გაუმართეს და ჰოლანდიურ ენაზე დაწერილი აღრესი გადასცეს:

„წმ. ელენეს კუნძულზე, ნიკოლოზ გიორგის-ძე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონს.

მოწყალეო ხელმწიფევ! ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკის ტყვე ოფიცრები, ამ წერილით მადლობას გიცხადებთ იმისათვის, რომ თქვენ აჭყვიტეთ თქვენი კეთილშობილი გულის რაინდულ ლტოლვას, არ დაზოგეთ არც შრომა, არც ხარჯი და პირადად მონაწილეობა მიიღეთ ჩვენს ბრძოლაში ინგლისის ურიცხვი ჯარების წინააღმდეგ. ჩვენი მართალი საქმისთვის თქვენ სიცოცხლის შეწირვა განიზრახეთ. ბედმა გიღალატათ და ჩვენთან ერთად, აქ ტყვედ ყოფნა გარგუნათ. ერთხელ კიდევ გმადლობთ იმ მამაცობისათვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ. იმედი გვაქვს, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ყოველთვის თანაგრძნობით გაიხსენებთ ჩვენს სამართლიან საქმეს. ჩვენ კი პირობას გაძლევთ, რომ ყველა იმას, რაც თქვენ, უცხოელმა, ჩვენთვის გააკეთეთ, ჩვენი ხალხი ყოველთვის მოიგონებს. იყოს კურთხევა ღვთისა თქვენსა ზედა. ეს არის ჩვენი გულწრფელი სურვილი“.

ამ აღრესს ბურების ოცდახუთმა ოფიცერმა მოაწერა ხელი. ნიკო ბური ჯერ ლონდონში ჩაიყვანეს, იქიდან იგი პარიზში ჩავიდა და შემდეგ თბილისში დაბრუნდა.

სხვათა შორის, ინგლის-ბურების ამ ომის მონაწილე იყო ავრეთვე ახალგაზრდა უინსტონ ჩერჩილი. იგი როგორც გაზეთ „მორნინგ პოსტის“ სამხედრო კორესპონდენტი, ბრძოლის ველზე იმყოფებოდა, ბურებმა იგი ტყვედ წაიყვანეს, მაგრამ ჩერჩილმა გაქცევა მოახერხა.

ნიკო ბური ეკუთვნოდა მუხრანის ბაგრატიონთა შტოს. იგი დაიბადა სოფელ მუხრანში 1868 წელს, გარდაიცვალა 1933 წელს თბილისში.

თავის დროზე მთელი ქართული პრესა ფართოდ გამოეხმაურა ინგლის-ბურების ომს, რომლის დროსაც დამპყრობლები მართლაც შემაძრწუნებელ ბარბაროსობას სჩადიოდნენ — სწვავდნენ სოფლებსა და ქალაქებს, ჟლეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას — ქალებსა და ბავშვებს; და როცა ამ ძველ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ წერილებს კვითსულობთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ისინი დღეს იყოს დაწერილი და ეხებოდეს იმ სისხლიან ბრძოლებს, რომლებიც დღეს ოლსტერის ქუჩებში მიმდინარეობს...

ალექსანდრე სიგუა



სურათზე: ნიკო ბური ქალიშვილთან და მეუღლესთან ერთად.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

(ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ)

1. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲗᲐᲕᲨᲘ.

2. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲜ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲡᲮᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲜᲯᲐᲒᲐᲚᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲐᲜᲣᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲮᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲜᲯᲐᲒᲐᲚᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲐᲜᲣᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲮᲘ.

3. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

4. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

5. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

6. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

7. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

8. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

9. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

10. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲯᲐᲒᲐᲚᲐᲫᲔ — ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲮᲐᲠᲔ





ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲜᲯᲐᲒᲐᲚᲐᲫᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲙᲘᲜᲝᲨᲘ "ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲜᲘᲐᲡ" ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲛᲔᲡᲮᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲛᲔᲡᲮᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲜᲯᲐᲒᲐᲚᲐᲫᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲙᲘᲜᲝᲨᲘ "ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲜᲘᲐᲡ" ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ.

ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲯᲐᲒᲐᲚᲐᲫᲔ — ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲮᲐᲠᲔ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲛᲔᲡᲮᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲜᲯᲐᲒᲐᲚᲐᲫᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲙᲘᲜᲝᲨᲘ "ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲜᲘᲐᲡ" ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ.

ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲯᲐᲒᲐᲚᲐᲫᲔ — ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲮᲐᲠᲔ